ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს ისტორია

ავალიანი დარინა

ტრაპიზონის იმპერიის დაარსება

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერი ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი ოლეგ ჯიბაშვილი

ხიჭაური

2019

თამარი – „მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობითა მპყრობელი“

ანოტაცია

ლაზები ქართველი ერის ერთ-ერთი დიდი, მშვენიერი და სისხლსავსე ნაწილია. საუკუნეების მანძილზე მკვიდრობდნენ ისინი სამხრეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე და, უხსოვარი დროიდან მოკიდებული დღემდე, მნიშვნელოვანი კვალიც დატოვეს ისტორიაში.

სამწუხაროდ, ჩვენი საერთო მძიმე წარსულიდან გამომდინარე, ყოველთვის არ ხერხდებოდა, რომ ლაზებს, სხვა კუთხის ქართველებთან ერთად, ერთ პოლიტიკურ სივრცეში – ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში ეცხოვრათ. დღესაც, მათი განსახლების არეალის უდიდესი ნაწილი სხვა ქვეყნის საზღვრებშია მოქცეული.

XIII საუკუნის დასაწყისში – თამარ მეფის ეპოქაში – შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ლაზ-ჭანების საერთო-ქართულ სახელმწიფოში გასაერთიანებლად. თუმცა, საბოლოოდ მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომი ტრაპიზონის იმპერია ჩამოყალიბდა. სწორედ ეს საკითხებია გაშუქებულ-გააზრებული წინამდებარე ნაშრომში.

Anotation

Lazes are one of the grent, wonderful and full – blooded parts of the Georgian nation. They hed been settling on the Southern Black Sea Coast area for the centuries and since the ancient time they had left a significant mark in the history.

Unluckily, as a result of our common hard past, it was not always possible for Lazes to live with the people of various regions of Georgia within the common political space – inside the borders of the state. Even today, their living areas are included within the foreign country.

In the beginning of the 13th century – in the epoch of the Queen Tamar it was profitable to make Lazes a part of the Georgian state. Though, eventually Georgia's dependent State – Trabzon Empire was formed. Exactly these issues are discussed and thought in the present piece of work.

შინაარსი

შესავალი ……..…… 6

თავი I -წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

§.1. წყაროები ……..…….…… 8

§.2. ისტორიოგრაფია ……...……. 10

თავი II - საერთაშორისო ვითარება წინა აზიაში XIII საუკუნის დასაწყისისათვის

§.1. თამარის დროინდელი საქართველო ……...…… 13

§.2. ჯვაროსნები და ახლო აღმოსავლეთი ……...…… 24

§.3. ბიზანტია XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ……..... 31

თავი III - ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და მისი მნიშვნელობა ზოგად-ქართული ინტერესების ჭრილში

§.1. ტრაპიზონის იმპერიის დაარსება თამარ მეფის მიერ 38

§.2. ტრაპიზონის იმპერიის მოსახლეობის ეთნო-რელიგიური შემადგენლობა 46

§.3. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შუქ-ჩრდილები 54

დასკვნები 60

გამოყენებული ლიტერატურა 64

შესავალი

საქართველო მრავალსაუკუნოვანი, დიდი ისტორიის ქვეყანაა, რომელმაც, სისხლიანი წარსულის მიუხედავად, შეძლო თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნება. თავისი მნიშვნელოვანი გეო-სტრატეგიული მდებარეობის გამო, იგი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო, როგორც მოკავშირე, ისე მოქიშპე ქვეყნების მხრიდან.

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ბრწყინვალე და გამორჩეულ პერიოდს თამარ მეფის ეპოქა წარმოადგენს, რომელსაც საქართველოს ოქროს ხანასაც კი უწოდებენ. ეს ის პერიოდია, როდესაც სახელმწიფო საზღვრები მაქსიმალურად გაფართოვდა, ხოლო ქვეყანა უაღრესად დაწინაურდა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული თვალსაზრისით.

სწორედ ამ დროს საქართველოს ირგვლივ შეიქმნა კეთილსასურველი ვითარება, რამაც თამარ მეფეს საშუალება მისცა ქართული პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად გადაეჭრა ყოფილი პონტოს სამეფოს, იმჟამად კი ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში მოქცეული, ძირითადად ლაზებით დასახლებული ქართული მიწების ბედი. მართალია, ამ ეტაპზე აღნიშნული მიწები უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში არ შემოსულა, მაგრამ ჩამოყალიბდა საქართველოზე დამოკიდებული, ვასალური სამეფო – ტრაპიზონის იმპერია. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ მცხოვრები ქართული ტომების დანარჩენ ქართველებთან დაახლოების თვალსაზრისით. მაგრამ, თავისთავად ცხადია, რომ დაახლოების ხარისხი ბევრად უფრო მაღალი იქნებოდა მათი ერთ პოლიტიკურ სივრცეში – საქართველოს სახელმწიფოში გაერთიანების შემთხვევაში, რაც, როგორც აღვნიშნეთ, იმ ეტაპზე არ განხორციელებულა.

„ტრაპიზონის იმპერიის“, იგივე „ტრაპიზონის საკეისროს“ საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი. არადა ამ დროს მოგვეცა ისტორიული შანსი ქართველი ხალხის დაქსაქსული ნაწილები გაერთიანებულიყო და ერთიანი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება დაწყებულიყო. იმდროინდელი ვითარების სრულყოფილი შესწავლა და შეფასება, ვფიქრობთ, აუცილებელია საქართველოს აწმყოსა და მომავლის უკეთ გააზრებისათვის.

თემის აქტუალობა. საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი. ჯერ ერთი, ეს საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი, და უფრო სიღრმისეულ და ფართო გააზრებას მოითხოვს. და მეორე – ტრაპიზონის საკეისროს მოსახლეობის უმრავლესობა, წერილობითი წყაროების მიხედვით, უძველესი დროიდანვე ქართველი და ქართველთა მონათესავე ტომებისაგან შედგებოდა. აქ ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ ლაზები, რომლებიც ქართველი ერის სისხლსავსე ნაწილია და რომლებსაც ძალიან დიდი ხნის ისტორია გააჩნიათ.

სამწუხაროდ, ანტიქართული იდეოლოგიის გავლენით, ლაზების ერთი დიდი ჯგუფი თავის თავს არ ცნობს ქართველი ერის ნაწილად და ამას საქვეყნოდ უწევს აფიშირებას. ვფიქრობთ, ლაზებს XIII საუკუნიდან მოყოლებული ერთიან ქართულ სახელმწიფოში რომ ეცხოვრად უშუალოდ, დანარჩენ ქართველობასთან გაუცხოების ტენდენციას ადგილი აღარ ექნებოდა.

ამდენად, ვფიქრობთ, რომ ლაზური საკითხის შესწავლა ნამდვილად არ არის მოკლებული აქტუალობას.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების ობიექტური ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გაშუქდეს ის წინაპირობები, რაც ობიექტურმა გარემოებებმა შექმნეს საქართველოს გარშემო, და რამაც, თავის მხრივ, განაპირობა თამარ მეფის მიერ წარმოებული პოლიტიკის მიმართულებები, აგრეთვე ამ პოლიტიკის შედეგები ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაქველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკებს, აგრეთვე ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ვსარგებლობდით სათანადო ინტერნეტ-რესურსებით.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი - „ტრაპიზონის იმპერიის დაარსება“ - შედგება შესავალი ნაწილისაგან, სამი თავისა და რვა პარაგრაფისაგან, ასევე დართული აქვს დასკვნა და გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია. ნაშრომი მოიცავს შესაბამისი სტანდარტებით ნაბეჭდ 69 კომპიუტერულ გვერდს.

თავი I -წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

§.1. წყაროები

თემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ის საისტორიო წყაროები, რომლებიც უშუალოდ, ან გარკვეული კუთხით ეხებიან საკვლევ პრობლემას.

პირველ რიგში განვიხილოთ „ქართლის ცხოვრება“ (ვისარგებლეთ თბილისში 2012 წელს გამოცემული ვერსიით). ეს არის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ზოგადად საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის, რომლის მნიშვნელობაც ძველადაც კარგად ესმოდათ. „ქართლის ცხოვრება“-ში სხვადასხვა ავტორის ისტორიული თხზულებანი ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა შეტანილი. ჩვენს ყურადღებას იპყრობს თამარის ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოძღვარის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, რომელშიც ისტორიკოსი გადმოსცემს თამარის მეფობის პერიოდში მიმდინარე მოვლენებს. საუბრობს როგორც თამარის პიროვნებაზე, ისე მის მოღვაწეობაზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის თამარის მიერ ტრაპიზონის დაარსების საკითხი. ეპოქის უკეთ გააზრებისათვის გავეცანით, ასევე, თამარის ე.წ პირველი ისტორიკოსის თხზულებას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელშიც აღწერილია თამარის და გიორგი III ისტორია.

შემდეგი წყარო, რომელიც ასევე საყურადღებოა ტრაპიზონის დაარსების თვალსაზრისით, არის მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“, რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ ითვლება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, საქართველოს მეზობლად XIII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული ტრაპიზონის ისტორიის შესასწავლად. ქრონიკაში აღნუსხულია 1204-1426 წლების ამბები, თვით მიქელ პანარეტოსის დაწერილად კი ის ნაწილი ჩანს, რომლებიც დაახლოებით 1386 წლამდე მოდის. ტრაპიზონის ქრონიკა ტრაპიზონის დაარსების ამბით იწყება და შემდეგ გადმოცემულია ცნობები მომდევნო პერიოდებზე. ჩვენთვის ეს წყარო საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მის დასაწყისშივე საუბარია ტრაპიზონიის დაარსებაზე. წყაროს ავტორს აღნიშნული აქვს, რომ ტრაპიზონის იმპერიის პირველმა იმპერატორმა ამ რეგიონში გამოილაშქრა იბერიიდან. ასევე, ხაზს უსვამს

ბაგრატიონთა და კომნენოსთა ნათესაობას. ეს წყარო ჩვენ ამოვიღეთ წიგნიდან „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, რომელიც გამოიცა 1960 წელს თბილისში.

მომდევნო წყარო, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ტრაპიზონის იმპერიის საკითხთან მიმართებაში, არის ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ნაშრომი დაწერილი უნდა იყოს XVIII საუკუნეში და საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. აღნიშნულ შრომაში ვახუშტის მოცემული აქვს მდიდარი მასალა საქართველოს გეოგრაფიის შესახებ. მასში ასახულია გეოგრაფიულ ჭრილში საქართველოს ყველა კუთხე, მთა და ბარი. ტრაპიზონის თემის წარმოსაჩენად ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს წარმოადგენს შავიზღვისპირეთის აღწერილობა, სადაც ყურადღება გამახვილებულია ჭანეთის გეოგრაფიულ დახასიათებაზე.

საჭიროების მიხედვით, ვისარგებლეთ, აგრეთვე, სამეცნიერო ლიტერატურაში გაფანტული სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, რომელთა დედნებსაც უშუალოდ ვერ გავეცანით.

§.2. ისტორიოგრაფია

ტრაპიზონის იმპერიის საკითხის შესასწავლად, წყაროებთან ერთად, ასევე, გამოვიყენეთ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა. მოკლედ დავახასიათებ მის უმთავრეს ნაწილს.

ზურაბ ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი) „ტრაპიზონის იმპერიის დაარსება“ – გამოიცა 2012 წელს. ნაშრომი მოიცავს პერიოდს ძვ. წ.აღ-ით VIII საუკუნიდან ჩვ. წ.აღ-ით XIII საუკუნემდე. ნაშრომი იმითაა საინტერესო, რომ ის ეძღვნება დღევანდელი თურქეთის ერთ-ერთი რეგიონის – შავიძღვისპირეზთის ისტორიას. მასში განხილულია ტრაპიზონის იმპერიის დაარსებამდე რეგიონში მიმდინარე ეთნიკური და პოლიტიკური პროცესები. საქართველოს საგარეო პოლიტიკა ამ მიმართულებით, ახალი სახელმწიფოს დაარსების მიზეზები და მიზნები, 1204 წელს განხორციელებული სამხედრო ოპერაცია, ტრაპიზონის პირველი იმპერატორის ალექსი I და მისი ძმის დავით კომნენოსის მოღვაწეობა და ა.შ.

ნაშრომისთვის გამოვიყენე ასევე გოზალიშვილის მონოგრაფია „მითრიდატე პონტოელი (მეორე ნაწილი)“. მონოგრაფია გამოვიდა 1965 წელს. წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში განხილული არის ძველი კაბადოკიისა და პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მითრიდატე ევპატორის ვინაობის საკითხი. მეორე ნაწილში დახასიათებულია ბრძოლა რომსა და პონტოს სამეფოს შორის, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებთან ურთიერთკავშირში განხილული არის მებრძოლ მხარეთა შორის 40 წლის მანძილზე წარმოებული ომის მთავარი მომენტები; ასევე, მოცემულია ანალიზი მიზეზებისა, რომლებმაც განაპირობა რომის გამარჯვება და პონტოს სამეფოს მარცხი. აქედან გამოყენებულია პონტოს სამეფოს ეთნიკური შემადგენლობის საკითხი.

ბიზანტიის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო შრომას წარმოადგენს ვალერი ასათიანის „ბიზანტიის ცივილიზაცია“. ეს ნაშრომი 2006 წელს დაიბეჭდა. ვალერი ასათიანი მიზნად ისახავს წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს ბიზანტიის შესახებ, რაც წარმოადგენს „ათასწლოვანი იმპერიის არსებობის მრავლისმომცველი თემის შედარებით სრულად გაშუქების მოკრძალებულ ცდას“. შრომაში საუბარია, რაღა თქმა უნდა, ბიზანტიის სახელმწიფოზე, იმაზე თუ როდის

შეიქმნა, რა ვითარებაში, როგორ განვითარდა. მწერალი საუბრობს ვაჭრობაზე, სამართალზე, მისიონერებზე, ჯვაროსნებზე, კულტურაზე, ბიზანტიის აღსასრულზე... აქედან ჩვენთვის საინტერესო საკითხი, რომელიც გამოვიყენეთ თემაზე მუშაობის დროს, არის ჯვაროსნებთან, კულტურასთან და ბიზანტიის აღსასრულთან დაკავშირებული მონაკვეთები.

საინტერესო ცნობებს შეიცავს ზ. ავალიშვილის ნაშრომი „ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი)“. ნაშრომი გამოვიდა 1929 წელს და XII-XIII საუკუნეების პერიოდს მოიცავს. წიგნი ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი მოიცავს შემდეგ საკითხებს: „ერთი ჯვარის გარშემო“ და „გარშემო ერთის ომისა“. ხოლო მეორე ნაწილი: „ტრაპიზონის საქმე“ და „სხივი დასავალისა“. აქედან ჩვენთვის საინტერესო საკითხი იყო „ტრაპიზონის საქმე“.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომი „ქალდეა (საეპისკოპოსოები ლაზიკაში)“ საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს თავისი შინაარსით. ნაშრომი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ისა და წმიდა სინოდის მიერ დასმულ საკითხებს აშუქებს. ავტორი ეხება ქალდეას, დასავლეთ საქართველოსა და სხვა ქართულ ქვეყნებს, აქ განხორციელებულ კვლევებს და, ასევე, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საკითს. მრავალ წყაროზე დაყრდნობით მიმოხილული არის დასავლეთ საქართველოს, ლაზიკა-ქალდეასა და საქართველოს სხვა ისტორიული რეგიონების საეკლესიო, ეკონომიკური, პოლიტიკური ვითარება პირველ ასწლეულებში.

მეფე თამარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის როინ მეტრეველი თავის ნაშრომში „მეფე თამარი“. მონოგრაფია დაიბეჭდა 1991 წელს და თამარის პერიოდს მოიცავს. წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის. „წიგნში სხვადასხვა ტიპის ქართული და სხვა ენოვანი წყაროების შესწავლა-შეჯერებისა და პრობლემების ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე მოცემულია იმდროინდელი მსოფლიო-ისტორიული პროცესების ფონზე მეფე თამარის ცხოვრების და მოღვაწეობის გადმოცემის ცდა“.

VII-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის თავგადასავალი თანმიმდევრულად აქვს გადმოცემული ივ. ჯავახიშვილს თორმეტტომეულის მეორე ტომი (თბილისი, 1983). ნაშრომს დართული აქვს დამატებანი, რომლის შინაარსი XI-XII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ისტორიის საკითხებს უკავშირდება. ნაშრომში თანმიმდევრულადაა გადმოცემული არაბთა ბატონობის ხანა, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორია, თურქ-სელჩუკთა შემოსევების და ბატონობის ხანა, საქრთველოს წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცევა XII საუკუნეში. „ივ. ჯავახიშვილის კვლევა-ძიება ამ მიმართულებით ემყარებოდა ქართულ-უცხოურ წყაროებს, ორიენტალისტიკურ-ბიზანტიოლოგიურ ლიტერატურას, საკუთარ მონოგრაფიულ გამოკვლევებს“. ნაშრომში არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი დადგენილია და ამეტყველებული ქართული, ბერძნული, სპარსული, სომხური და არაბული წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველძე.

გარდა აღნიშნული ლიტერატურისა, თემაზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ სხვა სამეცნიერო ნაშრომებიც, რომელთა ჩამონათვალი გამოყენებულ ლიტერატურის სიაში არის მითითებული. ცალკეულ საკითხებთან დაკავშიებით ვსარგებლობდით, აგრეთვე, სათანადო ინტერნეტ-რესურსებით.

თავი II - საერთაშორისო ვითარება წინა აზიაში XIII საუკუნის დასაწყისისათვის

§.1. თამარის დროინდელი საქართველო

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების, განსაკუთრებით კი გიორგი III-ის მეფობის პერიოდში (1156-1184 წწ) ცენტრალურმა ხელისუფლებამ როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ქართულმა საზოგადოებამ ფეოდალიზმის განვითარების უმაღლეს საფეხურს XII-XIII სს. მიჯნაზე, თამარის მეფობის დროს (1184-1213 წწ.) მიაღწია. საქართველო კავკასიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა, ხოლო მახლობელ აღმოსავლეთში ერთადერთ წამყვან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე განაპირობა აღნიშნული ეპოქის ეკონომიკურმა აღმავლობამ. ხელოსნურმა წარმოებამ, სოფლის მეურნეობამ და ვაჭრობამ იმ პერიოდისათვის განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, რასაც შედეგად, ფეოდალური საქართველოს ისეთი კულტურული აყვავება მოჰყვა, რომელსაც ადგილი არ ჰქონია ფეოდალიზმის არც წინანდელ და არც შემდგომ დროინდელ საქართველოში (**ანჩაბაძე, 1979:4).**

ჩვენთვის საინტერესო პერიოდს ამშვენებს თმარ მეფის მოღვაწეობა, ის განსაკუთრებული ელვარებით ჩანს საქართველოს ისტორიაში. შუა საუკუნეებისათვის არც თუ ისე მისაღები პრობლემა საზოგადოებამ პროგრესულად გადაჭრა, ეს იყო ქალის ხელისუფლების პრობლემა. სამეფო ტახტზე აიყვანეს ქალი, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს საჭეთმპყრობელი და ამიერიდან გაისმა შუა საუკუნეებისათვის არც თუ ისე მისაღები სიტყვები: ,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. თამარის ნათელმა პიროვნებამ, ძლევამოსილმა მეფობამ, წინდახედულმა პოლიტიკამ და გამჭრიახობამ ხელი შეუწყო საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ აყვავებას (**მეტრეველი, 1972:170).**

საინტერესოა თვითონ თამარის გამეფების საკითხი, რომელიც მეტად საინტერესო ვითარებაში მოხდა. მას წინ უძღოდა ორბელთა აჯანყება, რომელიც გიორგი III-მ მოიგერია და ამის შემდეგ თავისი ასული 1178 წელს თანამოსაყდრედ დაისვა. ისინი 6 წელი ერთად მართავდნენ ქვეყანას. მამის გარდაცვალების შემდეგ გააქტიურდნენ დიდგვაროვნები, რომლებიც მანამდე დათრგუნვილები იყვნენ და უშედეგოდ ცდილობდნენ ცენტრალური გამგებლობის საქმეებში ჩარეულიყვნენ. მათ მიმართ დიდი იყო უნდობლობა, ორბელთა აჯანყების შემდეგ კი ეს უნდობლობა კიდე უფრო გაიზარდა. ამიტომ იყო, რომ ხელისუფლება დიდი ფეოდალების ნაცვლად აწინაურებდა უგვარო და მდაბიო წარმოშობის, მაგრამ ნიჭიერ ადამიანებს, არცთუ იშვიათად კი უცხო ტომის წარმომადგენლებსაც. მაგალითად, გიორგი III-ის დროს მანდატურთუხუცესის და ამირსპასალარის თანამდებობა ეჭირა ნაყივჩაყარ ყუბასარს, მაშასადამე ტომით უცხოს, მსახურთუხუცესის სახელო კი ეკავა აფრიდონს – შთამომავლობით მდაბიო პირთაგანს, გიორგის მიერვე განდიდებულს. ეს, რა თქმა უნდა, არ მოსწონდათ დიდებულებს და მარჯვე დროს უცდიდნენ, რომ სამეფო ტახტისათვის ანგარიში მოეთხოვათ და აი ეს დროც დადგა, როცა გარდაიცვალა გიორგი III (**კაკაბაძე, 1912:8-10**). დიდგვაროვნებმა, მიუხედავად იმისა, რომ თამარი ჯერ კიდე მამის სიცოცხლეში იყო გამეფებული, როგორც ჩანს არ მიიჩნიეს ეს საკმარისად და მისი ხელახლა მეფედ კურთხევა გადაწყვიტეს, ეს უკვე ფაქტობრივი პროტესტი იყო გიორგი III-ის ნამოქმედარის, მისი პოლიტიკის მიმართ. ამასთანავე, ხაზგასმულად უნდა წარმოჩენილიყო ფეოდალთა დიდი უფლებები, რომელთა მოთხოვნითაც თამარი კვლავ აკურთხეს მეფედ 1184 წელს. დიდგვაროვნები, ასევე, მოითხოვდნენ გიორგი III-ის დროს დაწინაურებული მოხელეების გადაყენებას. თამარი დათანხმდა მათ მოთხოვნას და თანამდებობიდან გადააყენა ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი (**მეტრეველი, 2007:138**). მაგრამ „თამარს როდი შეეძლო დაყრდნობოდა საქართველოს დიდებულთ, იმ დიდებულთ, რომელნიც საუკუნეების განმავლობაში დინასტიას ორგულობდნენ და რომელთაც მისი გაძლიერება თავისი წოდების პრივილეგიების დაღუპვად მიაჩნდათ“, ამიტომ, ძველ დიდებულთა დამცრობის მიზნით თამარმა დააწინაურა ახალი საგვარეულოები,

მაგ. მხარგრძელები. ამ პოლიტიკით თამარმა თავისი ერთგულებით შეავსო ქართველ დიდგვაროვანთა წრე (**კაკაბაძე**, 1912:10).

თამარის მეფობის დასაწყისში შექმნილი სიტუაციით ისარგებლა მეჭურჭლეთუხუცესმა ყურთლუ-არსლანმაც, რომელსაც ზურგს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი უმაგრებდა. „და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახედ ორბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებელისსა“ (**ქართლის ცხოვრება, 2012:405-406; ჯავახიშვილი**, 1983: 374). ყურთლუ-არსლანი გამოდიოდა სახელმწიფო მმართველობის რეფორმის გეგმით, რომლის მიხედვითაც სამეფო ხელისუფლება უნდა შეზღუდულიყო. „სამეფო კარის გვერდით უნდა შექმნილიყო ახალი დაწესებულება, ე.წ „კარავი“, რომელსაც უნდა გადასცემოდა საკანონმდებლო და უმაღლესი სასამართლო ფუნქციები, მეფის ხელისუფლებას კი მხოლოდ აღმასრულებელი ფუნქცია რჩებოდა. თამარის ბრძანებით არსლანი შეიპყრეს, მაგრამ მალევე გამოუშვეს, რადგანაც არსლანის მხარდამჭერთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო და თამარ მეფე მათთან დაპირისპირებას და სამოქალაქო ომს მოერიდა, ამიტომაც მოლაპარაკებების გზით ორივე მხარეს მოუწია დათმობებზე წასვლა... (**მეტრეველი, 2007:138**) და ამიერითგან ქართულ საისტორიო წყაროებში ვხვდებით ისეთ გამონათქვამს, როგორიცაა „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთა, თამარმა დაამტკიცა ესა და ეს პირიო“ (**ჯავახიშვილი**, 1983:376). ცალკეულ დათმობებს მეფის ხელისუფლების მხრიდან მოჰყვა ქვეყანაში მშვიდობის აღდგენა.

როგორც ვიცით ეკლესიას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების საქმეში, ამიტომ მეფემ გადაწყვიტა სასულიერო საქმეების მოწესრიგება. მან იერუსალიმიდან მოიწვია ნიკოლოზ გულაბერისძე და საეკლესიო კრება ჩაატარა (**მუსხელიშვილი და სხვ.**, 2012:332). „პირველ აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალემით ნიკოლაოზს გულაბერის-ძეს“ (**ქართლის ცხოვრება**, 2012:485).

როცა კრებაზე საეკლესიო საკითხების განხილვა დასრულდა, საერო პირები შემოემატნენ, რომლებიც მოითხოვდნენ თამარის სახლობის საკითხის გადაწყვეტას. „ხოლო აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს ყო[ვ]ელნი სპასალარნი და ერისთავნი

სამეფოსანი და მოაჴსენეს მამათა, რათა ზოგად იღუაწონ შემოყვანებად სიძისა თამარისთჳს“ (**მუსხელიშვილი და სხვ., 2012:332; ქართლის ცხოვრება, 2012:486**). დიდგვაროვნებს არჩევანი როსტოვ სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟზე იურიზე ჰქონდათ შეჩერებული (**მეტრეველი, 2007:139; მუსხელიშვილი და სხვ., 2012:332**). ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ თვითონ თამარი ჩანს ამ საქმის წინააღმდეგი. მუსხელიშვილი იმოწმებს ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობას, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისა“, რომელიც გადმოგვცემს თამარის პასუხს შეთავაზებულ წინადადებაზე: „კაცნო, ვითარ ღირს შეუტყობელი ესე ქმნად? არ ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა და არცა ქცევისა. მაცალეთ ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, განა სიდრკუე მისი“. აქვე აგრძელებს, რომ ამ საქმეს დიდებულთა ერთი ნაწილიც არ უჭერს მხარს. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ეს ყოველივე საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფის გეგმით იყო ხორცშესხმული და მათ პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა (**მუსხელიშვილი და სხვ., 2012:333**). დიდგვაროვანთა გადაწყვეტილებით ეს ქორწილი მაინც შედგა, რომელიც 1185 წელს ან 1186 წელს უნდა მომხდარიყო. „არამრავალთა დღეთა შემდგომად მიიღო აღსასრული სიტყუამან თამარისმან, და გამოა-ჩნდებოდეს რუსსა სკჳთურნი, ვითარ ნაღებ[ნი] ბუნებითნი. ორისა და ნახევრისა წელთა, ვითარ გურდემლი, მოითმენდა მჴნე თამარ უკეთურებათა რუსისათა, გარნა სხუა ვერღარავინ მოითმენდა“ (**მეტრეველი, 2007:139; ქართლის ცხოვრება, 2012:487**).

გიორგი რუსი საქართველოდან კონსტანტინოპოლს გაისტუმრეს. ამრიგად მარცხი განიცადა დასმა, რომელმაც გიორგი საქართველოში ჩამოიყვანა. დიდებულთა ერთი ნაწილი საქმეს წაგებულად მაინც არ თვლიდა და სწორედ ამის გამოვლინებაა გიორგის ბრძოლა საქართველოში კვლავ დაბრუნებისათვის, რომელსაც ადგილი ქონდა 1191 და 1193 წლებში, თუმცა მარცხი განიცადა და საბოლოოდ გადაიხვეწა კიდეც საქართველოდან (**მუსხელიშვილი და სხვ., 2012: 334**).

1189 წელს თამარმა მეორედ, ბაგრატიონთა ოსთა სამეფო სახლის შთამომავალზე დავით სოსლანზე, იქორწინა. „არღარა ყოვნეს, არამედ შეიყარნეს დიდუბეს, და შერთეს დავით თამარს“ (**მეტრეველი, 2007:139; ქართლის ცხოვრება, 2012:488**).

1193 წელს მემკვიდრის, გიორგის დაბადების აღსანიშნავად ქართველებმა ბარდავის მიმართულებით ილაშქრეს „და უმეტეს გარდაემატა ბედნიერობით ქუეყანა ყოვლითა კეთილითა და განმარჯუებითა ლაშქართათა. იწყეს ყოველგნით რბევად სპარსეთისა; და იქმნებოდეს განმარჯუებანი საკჳრველნი“ (**ქართლის ცხოვრება, 2012:490**).

დიდი იყო მტრობა საქართველოს მიმართ რომელიც ღვივდებოდა მეზობელ სახელმწიფოებში, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ საქართველოს ძლიერებას და წინსვლას. ამიტომ სამეფო ტახტზე როდესაც თამარი ავიდა, მეზობლებს ეგონათ, რომ ეხლა სამაგიეროს გადახდის დრო დაუდგათ, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდათ. მეზობელი მაჰმადიანი მმართველები დროგამოშვებით ცდილობდნენ რომ საქართველოს მიერ შემოერთებული ადგილები ისევ უკან დაებრუნებინათ. 1192 წელს აზერბაიჯნის ამირთამირა აბუ-ბაქრი შირვანს შეესია, რადგან ის საქართველოს ყმადნაფიცი იყო. შირვანმა საქართველოს სთხოვა დახმარება და ქართველებიც სამხედრო სამზადისს შეუდგნენ. ბრძოლა 1195 წელს მოხდა შამქორთან, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. ამავე პერიოდში მოხდა განძის დამორჩილებაც (**ჯავახიშვილი, 1983:378-379; ჯავახიშვილი, 1943:181**). „ესრეთ მოწყალებათაგან ღმრთისათა აღვსებულნი მიიწივნეს განძად; და გამოეგებნეს მოქალაქენი, თავთა თჳსთა მშჳდობა ითხოეს და ქალაქი ნებსით შესწირეს“ (**ქართლის ცხოვრება, 2012:492**). ამ გამარჯვებას შამქორთან უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აქ გამოჩნდა სამხედრო ძლიერება, რომელსაც მაჰმადიანთა შეერთებული ლაშქრობისათვის პასუხის გაცემა შეეძლო (**ჯავახიშვილი, 1983:271**).

1199-1203 წლებში ქართველთა ლაშქარმა მაჰმადიანთა ბატონობისაგან გაათავისუფლა და საქართველოს შემოუერთა სომხური მიწები: ანისი, დვინი, ამბერდი, ბიჯნისი. ეს წარმატება მოსვენებას უკარგავდა მაჰმადიანებს. თავად საქართველოს კი სამხრეთ აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე აღარ ჰყავდა (**მეტრეველი, 2007:140**).

სამხრეთ დასავლეთს რაც შეეხება, ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა და საკმაოდ წარმატებითაც. ქართველებმა აიღეს

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი კარი. „ხოლო აქამომდე კარი თურქთა ჰქონდა; და წარავლინნა ლაშქარნი გარემოდგომად. ხოლო სცნეს რაჲ თურქთა, მყის დააგდეს კარი და ივლტოდეს. ხოლო მეფემან აღიღო კარი და დაუტევა კარს მცველად ახალციხელი ივანე და აჩინა მონაპირედ და უბოძა ათაბაგობა და ამირთამირობა“ (**მეტრეველი, 2007:142; ქართლის ცხოვრება, 2012:496**). როინ მეტრეველი აქვე აღნიშნავს, რომ ეს ამბავი უნდა მომხდარიყო1204 წელს (**მეტრეველი, 2007:142**). ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს იბნ ალ-ასირისა და ვარდანის ცნობები, სადაც იბნ ალ-ასირს კარის აღების თარიღად 1206-1207 წლები აქვს მოყვანილი, ვარდანს კი 1206 წელი (**ჯავახიშვილი, 1983:274**).

კარის აღებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელს სამუსლიმანო სამყაროში. განსაკუთრებით შეშფოთებული იყო რუმის სულტანი რუქნ-ად-დინი, რომელმაც შემოიკრიბა მთელი სამუსლიმანო სამყარო და საქართველოსთან საბრძოლველად დაიძრა. „ვითარ მიიწივნეს ქუეყანად ბასიანისა, მუნ იყო სულტანი დაბანაკებული ადგილსა, ბოლოსტეკად წოდებულსა, და [ე]ახლნეს რაჲ ბანაკსა სულტნისასა, მინდორი იგი ძლით იტევდა კარვებსა მათსა“. ქართული ჯარიც უმალ შეიკრიბა და ბასიანისაკენ დაიძრა. ბრძოლაში დიდი სიმამაცე და ვაჟკაცობა გამოიჩინეს. ბრძოლა, თამარის ლოცვა-კურთხევით და ღვთის შეწევნით, ქართველების გამარჯვებით დასრულდა. ასეთმა წარმატებულმა ომებმა, ყველასათვის ცხადი გახადა, რომ კავკასიის სამხრეთის საზღვარზე საქართველოს სახელმწიფოს არც აღმოსავლეთით და არც დასავლეთით საშიში მტერი აღარ ჰყავდა (**ქართლის ცხოვრება, 2012:502-503; ჯავახიშვილი, 1983:274-279**). როინ მეტრეველი ამ მოვლენას 1202 წლით ათარიღებს (**მეტრეველი, 2007:141**). ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს არაერთი სპარსელი ისტორიკოსის ჩანაწერი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ერთერთი მათგანი არის ჰამდალლაჰ ყაზვინი, რომლის სიტყვებითაც რუქნადინის უზარმაზარი ლაშქარი 1205-1206 წ. დაუმარცხებიათ ქართველებს. აქვე აგრძელებს ჯავახიშვილი რომ რაკი ქართველი ისტორიკოსი და იბნ ალასირი ამ ბრძოლას კარის აღების შემდეგ ასახელებენ, ეს ბრძოლა 1206 წელს უნდა ყოფილიყო (**ჯავახიშვილი, 1983:277**).

1204 წელს თამარ მეფემ ქართული სავანეების წარმომადგენლებს ქონებრივი შეწირულობა გადასცა, რომელიც ბიზანტიის კეისარმა ჩამოართვა და მიისაკუთრა,

რამაც თამარი მეტად აღაშფოთა. „ცნა რაჲ ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ და ამით უმეტეს არცხჳნა ეშმაკი; ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლიხთიქითნი; და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი; და მისცა ნათესავსა თჳსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თჳთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი“ (**ჯავახიშვილი, 1983:379-380; ქართლის ცხოვრება, 2012:507).**

1206 წელს გარდაიცვალა დავით სოსლანი და თამარმა თავის მოსაყდრედ დასვა თავისი ვაჟი ლაშა-გიორგი (**მეტრეველი, 2007:142).**

ქართველებმა 1208-1209 წლებში დაიმორჩილეს: არდაველი, ხლათი და არჭეში. ასეთი გაუგონარი წარმატებების შემდეგ, 1210 წელს ლაშქრობები მოეწყო ჩრდილოეთ ირანში, რომლის ინიციატორი იყო მხარგრძელი. „ხოლო სხუასა ჟამსა მოვიდეს მეფის წინაშე მჴარგ[რ]ძელნი, ზაქარია სპასალარი და მსახურთუხუცესი ივანე და ვარამ გაგელი, და მოახსენეს...“: „აწ ბ[რ]ძანოს მეფობამა თქუენმან, რათა არა ცუდათ ვაუქმოთ სპანი თქუენნი და დავიწყებასა მიეც|ეს სიმჴნე მათი, არამედ აღვამჴედროთ ერაყს, რომ გუარსა ზედა, რომელ არს ხუარასანი, რათა ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმჴნე ჩუენი“ (**მეტრეველი, 2007:142-143; ქართლის ცხოვრება, 2012:510-511).** იქვე აგრძელებს, „აღებულ იქნა ქალაქები: მარანდი, თავრიზი, მიანა, ზენჯანი და ყაზვინი“. ქართულმა ჯარმა დიდი ალაფი და ნადავლი დააგროვა ბრძოლების დროს რის გამოც დამძიმებული ჯარი წინ წასვლას ვეღარ ახერხებდა და სამშობლოში გამარჯვებულები დაბრუნდნენ (**მეტრეველი, 2007:143).** ამ ლაშქრობამ დიდი სახელი მოუხვეჭა ქართველებს. ქართველები თვითონაც ამაყობდნენ, რადგან აქამდე „ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწევნულიყო ლაშქრად (ხვარასნამდის) არ[ც]ა მეფე არ[ც]ა მთავარი და ვერავინ წინა აღუდგა სპარსეთს შესულთა ვერ[ც]ა ხვარასნის სულტანი, ვერ[ც]ა ერაყისა და ვერ[ც]ა რომელი თემი“. ამ ლაშქრობას სომეხი ისტორიკოსი ვარდანიც ადასტურებს, რომლის ცნობითაც ეს ამბავი 1210 წელს უნდა მომხდარიყო (**ჯავახიშვილი, 1983:286-287).**

XIII ს-ის ათიანი წლების ბოლოს საქართველოს სამეფოს ყმადნაფიცები იყვნენ: „ეზინკისა და ხლათის სასულტნოები, არზრუმის საამირო და სხვა მრავალი თურქული სამფლობელო ამიერკავკასიასა და სპარსეთის ადერბაიჯანში“ (**მეტრეველი**, 1991:203).

საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კავკასიის მთიანეთსა და სამხრეთ კავკასიის მთისწინა ქვეყნებთან. 1212 წელს დიდოელები და ფხოველები აჯანყდნენ, „ხოლო მათ უკუე ჟამთა შინა იწყეს კაცთა მთეულთა განდგომად, ფხოელთა და დიდოთა“ (**ქართლის ცხოვრება**, 2012:515). აჯანყება ფეოდალიზაციის პროცესმა გამოიწვია. თამარ მეფემ ივანე მხარგრძელის მეთაურობით ჯარი გაგზავნა აჯანყების ჩასახშობად. მთიელებმა ზავი ითხოვეს. ქვეყანაში კვლავ აღსდგა მშვიდობა და წესრიგი (**მუსხელიშვილი და სხვ.**, 2012:341,342).

საქართველომ თავისი პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებასთან ერთად, საერთაშორისო დამოკიდებულებაშიც დიდი გავლენის მოპოება მოახერხა, რაც გამოწვეული იყო მეზობელთა შორის პოლიტიკური წონასწორობის და ხელშეუხებლობის პრინციპით. მაგალითად, როდესაც ვინმე სხვის სამფლობელოში შეჭრას გაბედავდა, საქართველო თავისთავს მოვალედ სთლიდა, რომ ჩარეულიყო და შელახულის უფლებები აღედგინა. საქართველოში ორგვარი პოლიტიკის გეზი არსებობდა: „ან უშუალო შემოერთება და სახელმწიფო საზღვრებში მოქცევა, ანდა ყმადნაფიცობისა და ვასალური დამოკიდებულების დამყარება“ (**ჯავახიშვილი**, 1983:387).

სახელმწიფოში ფესვგადგმული იყო სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა. მაშინ როდესაც ებრაელების დევნა, შუა საუკუნეების პერიოდში, ხშირი იყო სხვა ქვეყნებში, საქართველოში ამას ადგილი არ ქონია. მხითარ გოში – სომხური ეკლესიის კონსერვატიული წრეების მეთაური, ბრალს სდებდა საქართველოს მთავრობას, რომ ის ერთნაირად ბეგრავდა მაჰმადიანებს და თავის ქვეშევრდომ ქრისტიანებს იმ დროს, როდესაც, მისი აზრით, დაბეგრილი უნდა იყვნენ სხვა სჯულის წარმომადგენლები. საქართველოში რომ რელიგიური შემწყნარებლობა არსებობდა, ამის მაგალითია ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სასამართლო დადგენილებას. სასამართლო იყო შერეული, ანუ სასამართლოს შემადგენლობაში

იყვნენ არამარტო ქართული და სომხური საეკლესიო პირები, არამედ მაჰმადიანური რჯულის წარმომადგენლებიც. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართული მხარე, პოლიტიკური მოსაზრებებით, დემონსტრირებას უკეთებდა რელიგიურ ტოლერანტობას, „რომ ასეთ შემთხვევაში ქრისტიანები და მაჰმადიანები სრულიად თანასწორნი არიან და რომ ის მთავარ მნიშვნელობას აკუთვნებს ცოდნას და გამოცდილებას და არა იმას, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის კაცი“. ეს ყველაფერი კი იძლეოდა იმის საბუთს, რომ საქართველო „არა სარწმუნოებრივი მიზნებით ხელმძღვანელობდა, როდესაც ებრძოდა მაჰმადიან მფლობელებს, არამედ ებრძოდა მათ როგორც მტრულ პოლიტიკურ ძალას და არა როგორც ისლამის სამყაროს წარმომადგენლებს“ (**ჯავახიშვილი, 1983:413-417).** თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ირგვლივ არსებულ ვითარებას, პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით ასეთი სტრატეგია უფრო მომგებიანი იყო.

თამარ მეფის მიერ განხორციელებულ ომებს დიდი მნიშვნელობა ქონდა. უკან დაბრუნებული ჯარი დიდი ალაფით ბრუნდებოდა, რაც ქვეყნის შემოსავალს ზრდიდა, გაწმინდეს საქართველო და მისი მეზობელი მხარეები თურქ-სელჩუკი აგრესორებისაგან, გაძლიერდა სახელმწიფო და დამყარდა ქვეყანაში წესრიგი. ეს ყოველივე კი ხელს უწყობდა ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების განვითარებას (**ჯავახიშვილი, 1943:184).**

თამარის წყალობით ქართულმა სისხლის სამართალმა სასჯელთა სისტემის სრულ ჰუმანიზაციას მიაღწია. სწორედ თამარ მეფემ აღკვეთა საქართველოს პრაქტიკაში როგორც სიკვდილით დასჯა, ისე ყველა სხვა სახე სხეულის დაზიანებისა.

ქვეყნის მკვეთრმა დაწინაურებამ განაპირობა ქართული სამეცნიერო-ფილოლოგიური და ფილოსოფიური მწერლობის დაწინაურება. უხვად გაიფურჩქნა ამ ხანებში ქართული საისტორი მწერლობაც. იმ ხანებში, როცა დასავლეთ ევროპას და ბიზანტიას, ასურელებს და სომხებს მხოლოდ საეკლესიო მწერლობა ჰქონდა, ქართულმა კულტურამ უკვე მდიდარი, მშვენიერი საერო მწერლობის შექმნა შეძლო. იმის გასაგებად, განვითარების რა საფეხურზე იდგა ქართული მხატვრული მწერლობა, საკმარისია გავიხსენოთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ამ პერიოდში შეიქმნა უამრავი ხუროთმოძღვრული ძეგლი: იკორთა, ბერთუბნის,

ბეთანიის და სხვა მრავალი. ხუროთმოძღვრებამ აღნიშნულ პერიოდში მწვერვალს რომ მიაღწია, ამის დამადასტურებელია ვარძიის მონასტერი (**ჯავახიშვილი, 1983:387-391**).

XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა. დაწინაურებული იყო სოფლის მეურნეობა, რასაც ნათლად ადასტურებს იმდროინდელ საქართველოში არსებული მრავალი სარწყავი არხი. რაც თავის მხრივ მარცვლეული კულტურების, მევენახეობისა და მეხილეობა-მებაღეობის განვითარებისათვის კარგ პირობებს ქმნიდა. „სოფლის მეურნეობაში გამოიყენებოდა ძველთაგანვე გავრცელებული ბარი, თოხი, ნიჩაბი, ნამგალი, ცული, სასხლავი დანები და სხვ. იარაღები (ივ.ჯავხიშვილი). ამგვარი ინვენტარი, ძირითადად დგამ-ჭურჭელთან ერთად, გლეხის ოჯახის საკუთრებას შეადგენდა“. საქართველოში ბუნებრივი პირობების შესაბამისად გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის ტრანსპორტი. როინ მეტრეველი იმოწმებს ს. ბედუკაძეს, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში დიდი ადგილი ეკავა წყლის წისქვილს, რომელიც იმდროინდელ თითქმის ყველა სოფელს ჰქონია. ამასთან ერთად გავრცელებული ყოფილა, საოჯახო სახმარად ხელის წისქვილებიც (**მეტრეველი, 1991:217-219**).

დაწინაურებული იყო ხელოსნობაც, რაც ვაჭრობის განვითარების საფუძველს ქმნიდა. განვითარებული იყო როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის დაწინაურებამ, თავის მხვრივ, განაპირობა საქალაქო ცხოვრების აღმავლობა. თამარის დროს ქალაქებმა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა (**მუსხელიშვილი და სხვ., 2012:342**). „სატახტო ქალაქი ტფილისი შეიქმნა უდიდეს შუაგულად ქართველთ ცხოვრებისა და ვაჭრობა-აღებ-მიცემისა“ (**ჯანაშვილი, 1917:91**).

საქართველოში აგრეთვე გავრცელებული ყოფილა სამრეწველო დანიშნულების მქონე ტექნიკური მცენარეები: სელი, კანაფი და სხვ. მოჰყავდათ ბამბა და ბრინჯი. ინტენსიურად მისდევდნენ მეაბრეშუმეობას, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იწარმოებოდა და ქვეყნის გარეთაც გადიოდა ექსპორტზე. მეაბრეშუმეობა, რომ ფართოდ იყო განვითარებული ამაზე მიანიშნებს „საგლეხო

გადასახადის – "საყაჭობოს" (აბრეშუმზე გადასახადი) არსებობა" (**მუსხელიშვილი და სხვ., 2012:343-344**).

სავაჭრო ურთიერთობებმა საქართველო მდიდარ ქვეყნად აქცია. ივ. ჯავახიშვილს მოყავს სპარსელი გეოგრაფის ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობა, რომ საკუთრივ საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო სალაროს ფულადი შემოსავალი 3.750.000 ოქროს მანეთს უდრიდა, რაც იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა იყო (**ჯავახიშვილი, 1983:392**).

თამარის ტიტულატურას რაც შეეხება, 1188 წ. გელათისადმი გაცემულ შეწირულების სიგელში მეფე ასე წარმოგვიდგება: „ქ. სახელითა ღმრთისაითა მე, თამარ ბაგრატუნიანმან, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმფლობელმან ვინებე...". ტიტულატურების შინაარსი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენას გვაძლევს პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მფლობელობის არეზე (საზღვრებზე) (**მეტრეველი, 1991:285**).

„ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისის" ავტორი ბასილი ეზოსმოძღვარი ხმამაღლა აცხადებს, რომ მეფე თამარმა წინაპართა მიერ დატოვებული ტერიტორია კიდე უფრო გაზარდა და აქვე დაასკვნა, რომ „გარნა ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთაგან"-ო (**მუსხელიშვილი და სხვ., 2012:350**).

ამდენად, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველო იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო როგორც პოლიტიკური და სამხედრო, ისე ეკონომიკური თუ კულტურული მდგომარეობის თვალსაზრისით. იგი, ფაქტობრივად, რეგიონში წამყვან ძალად იყო ქცეული და აქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს საკუთარი შეხედულების მიხედვით არეგულირებდა.

§.2. ჯვაროსნები და ახლო აღმოსავლეთი

ჯვაროსნები იყვნენ უმეტესად დასავლეთ ევროპელი რაინდები, რომლებიც შუა საუკუნეების განმავლობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში. მათ სახელი ტანსაცმელზე გამოსახული ჯვრის გამო ეწოდათ. ტერმინი ჯვაროსანი, პირველად ლატერანის მეოთხე კრებაზე, 1215 წელს გაჩნდა. მანამდე მათ როგორც შეიარაღებულ პილიგრიმებს ისე მოიხსენიებდნენ (https://ka.wikipedia.org/wiki/ჯვაროსნები).

ჯვაროსნები მრავალ ფრონტზე მოქმედებდნენ: მუსლიმების ებრძოდნენ იბერიის ნახევარკუნძულზე, წარმართებს – ბალტიისპირეთში, აგრეთვე მონღოლებს, ერეტიკოსებს, რომის პაპის პოლიტიკურ ოპონენტებს და ა.შ. (http://www.tabula.ge/ge/tablog/106023-jvarosnuli-omebi-da-dghevandeloba).

ჩვენთვის განხილვის საგანს, ამ კონკრეტული მომენტისათვის, წარმოადგენს ჯვაროსნებისა და ახლო აღმოსავლეთის ურთიერთობა. თუმცა, სანამ ამ საკითხს შევეხებით, უნდა ვთქვათ ის, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხების დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს. სპარსელები ოდითგანვე ემუქრებოდნენ ევროპულ კულტურას, ადრეულ შუა საუკუნეებში ბიზანტიელებსა თუ ევროპის სხვა ხალხებს არაბთა რისხვა დაატყდა თავს, რომლებიც დაუპირისპირდნენ ქრისტიანობას. ისინი ესწრაფოდნენ არა მარტო გამარჯვებას მოწინააღმდეგეზე, არამედ მის მოქცევას ისლამის რჯულზე. ყველაზე დიდი და ნათელი გამოვლინება აღმოსავლურ-დასავლურ დაპირისპირებაში ჯვაროსნული ლაშქრობები იყო. „იგი მიზნად ისახავდა არა მარტო ქრისტეს საფლავის გათავისუფლებას და იერუსალიმში მხურვალე ლოცვის დამკვიდრებას, არამედ ქრისტიანული სამყაროს ძლევამოსილებისა და მისი გავლენის სფეროების განვრცობას“ (http://ucnauri.com/181007/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%). მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვინაიდან ჯვაროსნული ლაშქრობები რომის პაპის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობდა, მან მართლმადიდებელი ქრისტიანებისა და კათოლიკეების ურთიერთობაზეც იქონია გავლენა. როგორც ისტორიკოსი ნ.

ასათიანი მიუთითებს, დაპირისპირება „ბერძნულ აღმოსავლეთსა და ლათინურ დასავლეთს შორის კიდევ უფრო გაამწვავა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა“ (**ასათიანი, 2006:109**).

ქრისტიანულ სამყაროში ცენტრალური როლი ეჭირა იერუსალიმს, რომელიც 637 წლიდან მუსლიმებს ჰქონდათ დაპყრობილი. მუსლიმები დიდი სისასტიკით გამოირჩეოდნენ ქრისტიანების მიმართ. დიდ შევიწროებას გრძნობდა, როგორც ადგილობრივი, ისე დასავლეთიდან ჩასული მომლოცველი, რასაც დაუპირისპირდა შურისძიების სურვილი, რომ იერუსალიმი უნდა გათავისუფლებულიყო მუსლიმებისაგან (**http://www.tabula.ge/ge/tablog/106023-jvarosnuli-omebi-da-dghevandeloba**).

ჯვაროსნული ომების დაწყებისთვის უამრავი მიზეზი არსებობდა. ერთის მხრივ ეს იყო, როგორც ზემოთ ვნახეთ, წმინდა ქალაქის, იერუსალიმის დაკავება მუსლიმების მიერ. იერუსალიმის დაკავებას შემდგომში მოჰყვა ანატოლიის და ქ. ნიკეას დაკავება, რომელიც კონსტანტინოპოლთან ახლოს მდებარეობდა. მეორეს მხვრივ ევროპაში შექმნილი ვითარება, სადაც უამრავ ღარიბ რაინდს მოეყარა თავი, რომელთა დიდი ნაწილი თავს ძარცვით ირჩენდა, რაც ცუდად აისახებოდა საერთო მდგომარეობაზე. ევროპიდან მათი უმტკივნეულოდ გაყვანის ერთადერთი შანსი ჯვაროსნულ ომებში მონაწილეობა იყო. გარდა ამისა, ომები ქონების დაგროვების კარგი საშუალება იქნებოდა; აგრეთვე, პერსპექტივაში ისახებოდა პაპის ძალაუფლების და კათოლიკური ეკლესიის შემოსავლების ზრდა (**https://ka.wikipedia.org/wiki/ პირველი_ჯვაროსნული_ლაშქრობა#მიზეზები**).

ასევე გასათვალისწინებელია კიდე ერთი გარემოება, რომ პაპს და გერმანიის იმპერატორ ჰენრი IV შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული იყო ამ პერიოდისათვის (ბრძოლა ინვესტიტურისთვის, დაპირისპირება ეკლესიასა და საერო ძალაუფლებას შორის შუა საუკუნეების ევროპაში), ჯვაროსნული ლაშქრობების წამოწყება კი საგრძნობლად გააძლიერებდა პაპის მდგომარეობას, ამდენად ასეთ შესაძლებლობას პაპი ურბან II ხელიდან ვერ გაუშვებდა (**http://www.tabula.ge/ge/tablog/106023-jvarosnuli-omebi-da-dghevandeloba**).

ურბან II-ემ ლაშქრობის დასაწყებად დიდებულების მიმხრობა დაიწყო. მან 1095 წ. საფრანგეთში ქ.კლერმონში მოიწვია საეკლესიო კრება. პაპმა ყველა ქრისტიან ევროპელს ახალი ომისკენ მოუწოდა „სადაც ჯარისკაცი იქნებოდა პილიგრიმი (მომლოცველი), ბრძოლის მიზანი – ქრისტეს საფლავი, შედეგი – გარდაცვლილთათვის ზეციური სამოთხე, ცოცხლად გადარჩენილთათვის კი მიწიერი იერუსალიმი“. მაშასადამე, ლაშქრობებს საფუძველი ჩაეყარა XI საუკუნის დასაწყისში, საბაბი კი ბიზანტიის იმპერატორის, ალექსი I კომნენოსის თხოვნა გახდა, რომელმაც სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის მიმართა ევროპას. რასაც საბოლოოდ მოჰყვა რომის პაპის ურბან II-ის გადაწყვეტილება, „რომელიც 1095 წელს წმინდა მიწის, იერუსალიმის ურწმუნოთა ხელიდან გათავისუფლებას მოითხოვდა“ (http://zogadi-istoria.blogspot.com/2013/12/blog-post_13.html).

დაპყრობით ომებს კათოლიკურმა ეკლესიამ რელიგიური ხასიათი მისცა. 1096-1270 წლებში 8 ჯვაროსნული ლაშქრობა მოეწყო. ფეოდალური ჩაგვრისა და სიდუხჭირისაგან თავის დახსნის მიზნით ლაშქრობებში რაინდებთან ერთად მონაწილეობდა დაბალი სოციალური ფენაც (https://ka.wikipedia.org/wiki/ჯვაროსნული_ლაშქრობები).

ჯვაროსანთა შეკრება ბიზანტიის დედაქალაქში უნდა მომხდარიყო და შემდეგ უნდა განხორციელებულიყო შეტევა თურქთა ქალაქებზე. ასეც მოხდა, 1097 წლის აპრილისათვის ჯვაროსნები უკვე ბიზანტიის ქალაქში შევიდნენ. 1097 წლის პირველ ნახევარში ჯვაროსნებმა გაათავისუფლეს ქალაქი ნიკეა მუსლიმებისაგან, ამავე წლის ნოემბერში კი ანტიოქია. საბოლოოდ, 1099 წლის 15 ივლისს აღთქმული მიწა ქრისტიანების ხელში გადავიდა. ჩამოყალიბდა იერუსალიმის სამეფო, ანტიოქიის სამთავრო, ედესისა და ტრიპოლის საგრაფოები (https://ka.wikipedia.org/wiki/პირველი_ჯვაროსნული_ლაშქრობა#შედეგები) ავალი-შვილი წერს: „ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს, დიდი სისხლის ღვრით 1099 წ. იქ და სხვაგან სამთავროები დაუარსებიათ ფეოდალური წესით“ (ავალიშვილი, 1829:13).

ჯვაროსნების მიერ დაარსებულ სამთავროებს თუ საგრაფოებს დიდი ბრძოლების გადახდა უწევდა მაჰმადიანებთან. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისას განცდილი მარცხის შემდეგ მუსლიმები თანდათანობით ცდილობდნენ ძალების

აღდგენას და ჯვაროსნებზე პასუხის გაცემას პირველი მარცხის გამო. დაიწყო გაუთავებელი ომები და ტერიტორიები ხელიდან ხელში გადადიოდა (**სანიკიძე, 2012:44).**

ჯვაროსნების მეორე ლაშქრობა 1145 წელს დაიწყო, რადგან 1144 წ. მუსლიმები შეიჭრნენ ედესის საგრაფოში და დაიკავეს კიდეც. ის იყო პირველი საგრაფო, რომელიც შეიქმნა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად (1095-1099) და ასევე პირველი, რომელიც დაეცა. პირველი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ლაშქრობას ევროპელი მეფეები ხელმძღვანელობდნენ. კერძოდ, საფრანგეთის მეფე ლუი VII და გერმანიის იმპერატორი კონრად III. მეორე ლაშქრობა პაპმა ევგენი III-მ გამოაცხადა. ჯვაროსნებმა მშვიდად გაიარეს ბიზანტიის ტერიტორია, მაგრამ თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში დამარცხდნენ. ჯვაროსნებმა არმიების ნარჩენებით იერუსალიმში ჩასვლა მაინც მოახერხეს და 1148 წელს დამასკიზე უშედეგო იერიში მიიტანეს. ეს ლაშქრობა დიდი წარუმატებლობა იყო ჯვაროსნებისთვის და დიდი გამარჯვება მაჰმადიანებისთვის. მას შედეგად იერუსალიმის დაცემა და მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა მოჰყვა **(https://ka.wikipedia.org/wiki/მეორე_ჯვაროსნული_ლაშქრობა).**

მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების (1189-1192) წინაპირობა გახდა სალადინის მიერ 1187 წლის 2 ოქტომბერს იერუსალიმის დაპყრობა. 1169 წ. ეგვიპტის სულთანი გახდა სალაჰ - ად დინ იუსუფი (სალადინი), რომელმაც 1174 წ. გააერთიანა სირია, ეგვიპტე და მესოპოტამიის დიდი ნაწილი, რითაც ჯვაროსნული სამთავროები მუსლიმთა რკალში აღმოჩნდა. სალადინმა ომი დაიწყო იერუსალიმის სამეფოს წინააღმდეგ და 1187 წელს სირიიდან შეტევაზე გადავიდა. ამავე წელს ჰატინის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ჯვაროსნები. საბოლოოდ კი მუსლიმებმა იერუსალიმი აიღეს. როცა ეს ამბავი ურბან II მოახსენეს, ნერვიულობისგან გარდაიცვალა. მისი ადგილი დაიკავა გრიგოლ VIII-მ, რომელმაც „ევროპის მონარქებს გაერთიანებისაკენ და ახალი ჯვაროსნული ომისაკენ მოუწოდა“. მასში მონაწილეობა მიიღო სამმა უძლიერესმა ევროპელმა მონარქმა — საღვთო რომის იმპერატორმა ფრიდრიხ I ბარბაროსამ, საფრანგეთის მეფე ფილიპ II აუგუსტმა და ინგლისის მეფე რიჩარდ I ლომგულმა **(https://ka.wikipedia.org/wiki/**

მესამე_ჯვაროსნული_ლაშქრობა). სწორედ ასეთ ვითარებაში დაიწყო III ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელიც ჯვაროსანთა სრული კრახით დასრულდა. ფრიდრიხ ბარბაროსა მდინარეში დაიხრჩო და უმეთაუროდ დარჩენილი ჯარი უკან ევროპაში გაბრუნდა. ფილიპ ავგუსტმაც უკან დახევა ამჯობინა. ასე რომ ევროპელ მონარქთაგან მხოლოდ რიჩარდ ლომგული დარჩა ბრძოლის ველზე (**სანიკიძე, 2012:45).** 1191 წ. 12 სექტემბერს მცირე დანაკარგებით აიღეს იაფა. სწორედ ამ ბრძოლაში მიიღო რიჩარდმა მეტსახელი ლომგული. რიჩარდმა გადაწყვიტა იერუსალიმზე შეტევა (**https://ka.wikipedia.org/wiki/ მესამე_ჯვაროსნული_ლაშქრობა).** მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რიჩარდს არ ეყო ძალა გამარჯვებისათვის. ამიტომ 1192 წ. რიჩარდმა ზავი დადო სალადინთან და ევროპაში დაბრუნდა. იერუსალიმი ისევ მუსლიმთა ხელში რჩებოდა, ხოლო ქრისტიანებს მხოლოდ წმინდა ქალაქის მოლოცვის უფლებაღა შერჩათ (**სანიკიძე, 2012:45).**

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა 1202-1204 წწ. ეგვიპტის წინააღმდეგ დაიგეგმა, მაგრამ როცა ვენეციელი ვაჭრები ჩაერივნენ საქმეში, მათი მზაკვრული გეგმის წყალობით ლაშქრობა ბიზანტიის საწინააღმდეგოდ შემობრუნდა (**https://ka.wikipedia.org/wiki/ მეოთხე_ჯვაროსნული_ლაშქრობა).**

ავალიშვილის აზრით IV ჯვაროსნული ლაშქრობის წარმართვა ბიზანტიის მიმართულებით გამოწვეული იყო მრავალი ფაქტორით: რაინდთა სხვადასხვა გვარი მისწრაფებებით, ვენეციის სავაჭრო თუ საკოლონიო პოლიტიკით, გერმანიის საკეისროს და რომის პაპის ბრძოლით, ბერძენთა შინაური განხეთქილებით და ა.შ. (**ავალიშვილი, 1829:86**).

საინტერესოა რა მოვლენები უსწრებდა წინ და როგორ წარიმართა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა. 1198 წლის 8 იანვარს რომის პაპი გახდა ინოკენტი III, რომელიც თავად ჩაუდგა სათავეში მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგებასა და ორგანიზებას. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე ჟოფრუა ვილარდუენის წერილიდან კარგად ჩანს, რომ იდეოლოგიური საფუძველი ახალი ლაშქრობისათვის გულმოდგინედ იყო მომზადებული. ლაშქრობის ხელმძღვანელად აირჩიეს ტიბო შამპანელი. ინოკენტი III-ის გეგმით ლაშქრობა უნდა წარმართულიყო ეგვიპტის მიმართულებით, შესაბამისად, მთავარი დარტყმა ეგვიპტეზე უნდა

განხორციელებულიყო. ამისათვის საჭირო იყო ფლოტი (**შალვა ურიადმყოფელი, 2006წ; http://church.ge/index.php?showtopic=1985**). ამიტომაც „უვენეციოდ საქმე ვერ გაკეთდებოდა, ზღვის გაღმა უხომალდოდ ვერ გავიდოდნენ, ხომალდების პატრონი კი მაშინ ვენეცია იყო“ (**ავალიშვილი, 1829:86**).

ვენეციის დოჟი ენრიკო დანდოლოსათვის (1107-1205 წწ), ჯვაროსანთა მარშუტი მიუღებელი იყო, რადგან ვენეცია დიდ შემოსავალს იღებდა ეგვიპტესთან ვაჭრობით, თუმცა მას უარი არ უთქვამს. დათანხმდა და ფლოტის ქირად მაღალი თანხა მოითხოვა. ჯვაროსნებმა, რადგან სხვა გზა არ ქონდათ, ეს პირობა მიიღეს. (**http://www.ianusi.com/2018/03/blog-post_88.html**). ვენეციის დიდი საბჭო დათანხმდა გამოეყო ტრასნსპორტი. მათ აიღეს ასევე ვალდებულება, რომ ჯვაროსნებს მოამარაგებდნენ საკმარისი საკვებით 1 წლის განმავლობაში. ასევე, უზრუნველყოდნენ 50 საბრძოლო გემით ვენეციელი მებრძოლებით, რომლებიც იომებდნენ ნილოსის დელტაში ჯვაროსნებთან ერთად. „ანაზღაურების სახით კი, ვენეციელები მიიღებდნენ 85,000 ვერცხლის მონეტას, პლიუს 50%-ს ნადავლისაგან, რომელიც მოპოვებულ იქნებოდა მუსლიმებისაგან“ – წერს ჯონ რობინსონი (**https://forum.ge/?f=84&showtopic=34097214**).

1201 წლის 24 მაისს მოულოდნელად გარდაიცვალა ჯვაროსანთა ხელმძღვანელი ტიბო შამპანელი. მის ადგილას დაინიშნა ბონიფაციუს მონფერატელი (**http://church.ge/index.php?showtopic=1985**). ამავე პერიოდში მიმდინარე მოვლენებში ჩაერთო ბიზანტიის ტახტიდან ჩამოგდებული ისააკ II-ის ვაჟი ალექსი, რომელიც ჯვაროსნებს სთხოვდა დახმარებას. ის ითხოვდა მამის ტახტზე აღდგენას, სანაცვლოდ კი ჯვაროსნებს ჰპირდებოდა, რომ იგი დაფარავდა ვენეციის ვალს, რომელიც ჯვაროსნებს მართებდათ, მისცემდა საჭირო ფულს და ჯარს ეგვიპტის დასაპყრობად და ასევე ჰპირდებოდა ეკლესიათა გაერთიანებას (**ავალიშვილი, 1829:87**). ამავე ხანებში ჯვაროსნები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ვენეციის მთავართან, ენრიკო დანდოლოსთან, რომელიც პირადად იყო დაინტერესებული ახალგაზრდა პრინცის ალექსის და ბონიფაცის ურთიერთობებით (დანდოლო ვერ იტანდა ბერძნებს) (**https://forum.ge/?f=84&showtopic=34097214**). ვენეციელები ჩაებღაუჭნენ მათთვის ესოდენ სასურველ საბაბს, ასე მოულოდნელად

რომ ჩაუვარდათ ხელში, რადგან შანსი ეძლეოდათ ბიზანტიის საშინაო საქმეებში ჩარევის (**დილი,1998.**).

იმის გამო რომ ჯვაროსნებმა ვერ მოახერხეს ვენეციისათვის დაპირებული თანხის გადახდა, დანდოლომ ქ.ზარას აღება მოითხოვა. 1202 წ. 24 ოქტომბერს ჯვაროსნებმა მართლაც აიღეს ქალაქი (**http://church.ge/index.php?showtopic=19859**). ჯვაროსნებმა გამოიზამთრეს ქალაქ ზარაში და ამის შემდგომ, უფლისწულ ალექსისთან შეთანხმებით, გეზი აიღეს კონსტანტინოპოლისაკენ, რათა ალექსის დაებრუნებინა კუთვნილი ტახტი (**https://forum.ge/?f=84&showtopic=34097214**).

1203 წ. დამდეგს ქალაქი იერიშით აიღეს და ისააკ ანგელოსი თავის ვაჟთან, ალექსი IV-თან ერთად ისევ ავიდა ტახტზე. თუმცა ბიზანტიელების და ლათინების თანხმობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ახალმა იმპერატორებმა ვერ შეძლეს დაპირებული სიტყვის შესრულება. „1204 წლის 25 იანვრის სახალხო აჯანყებამ დაამხო დასავლეთის პროტეჟეები და ძალაუფლება ალექსი მეხუთე მურზუფლეს ხელში გადავიდა“ (**დილი, 1998.**).

როდესაც საიმპერატორო კანდიდატები, ალექსი IV მოკლეს, ხოლო მამამისი სასიკვდილოდ სცემეს, რომელიც მალევე გარდაიცვალა, „ჯვაროსნებმა საბოლოოდ დაკარგეს ყოველგვარი იმედი და, შესაბამისად, შეუტიეს კონსტანტინოპოლის კედლებს. შეტევა დაიწყო 1204 წლის 6 აპრილს, და გაგრძელდა ექვსი დღის განმავლობაში“ (**https://forum.ge/?f=84&showtopic=34097214**). დაზავება შეუძლებელი გახდა. ლათინებმა ბიზანტიის იმპერიის განადგურება გადაწყვიტეს. „ალექსი V მურზუფლა გააფთრებით ებრძოდა კონსტანტინოპოლის წინ მდგარ ჯვაროსნებს“, მაგრამ უშედეგოდ (**მამისთვალიშვილი, 88**). 1204 წლის 12 აპრილს ლათინებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და ასე დასრულდა კიდეც მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა (**ასათიანი, 2006:110**).

ამ ლაშქრობის შემდეგ ჯვაროსანთა პოზიციები ახლო აღმოსავლეთში ძლიერ შესუსტდა. იერუსალიმი, რომლის მიმართულებით მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა არც კი განხორციელებულა, ისევ ეგვიპტელი არაბების ხელში რჩებოდა.

§.3. ბიზანტია XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე

ბიზანტიის იმპერია, იგივე აღმოსავლეთ რომის იმპერია, ან უბრალოდ ბიზანტია, არსებობდა რომის იმპერიის ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში გვიან ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების პერიოდში. როდესაც იმპერიის მმართველობისა და არმიის რესტრუქტურიზაცია მოხდა, ბიზანტიის იმპერიის ოფიციალურ ენად დამტკიცდა ბერძნული ლათინურის ნაცვლად, ამიტომაც თანამედროვე ისტორიკოსები „ბიზანტიას გამოარჩევენ ანტიკური რომისაგან, რადგან ის ლათინურის ნაცვლად ბერძნული კულტურის მატარებელი იყო“. სახელმწიფო რელიგიას კი მართლმადიდებელი ქრისტიანობა წარმოადგენდა. იმპერია წარმოადგენდა ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სამხედრო ძალას ევროპაში. ბიზანტიის იმპერიის საზღვრები გამუდმებით იცვლებოდა. იმპერიის არსებობის ბოლო საუკუნეების განმავლობაში კი ზოგად ტენდენციას წარმოადგენდა ტერიტორიის შემცირება და იმპერიის დასუსტება (https://ka.wikipedia.org/wiki/ ბიზანტიის_იმპერია).

ბიზანტიის იმპერიასთან, მისი არსებობის მთელს მანძილზე, ქართულ სახელმწიფოებს მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი ურთიერთობა ჰქონდათ, „ე.ი ახ.წ.აღ.-ით IV საუკუნიდან XV საუკუნის 50-იან წწ.“-მდე. ეს ურთიერთობა მრავალმხრივ ხასიათს ატარებდა. ასე მაგალითად: „ქართული პოლიტიკური ერთეულები ხან ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ ბიზანტიასთან, ხან მის მოკავშირეს წარმოადგენდნენ, ხანაც მისდამი მტრულად განწყობილ ძალებს უკავშირდებოდნენ, ხოლო გარკვეული დროიდან ქართული სახელმწიფო – ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქია – ბიზანტიის მოქიშპედაც გამოდიოდა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ სარბიელზე“ (ასათიანი, 2006:258).

XII საუკუნეში ბიზანტიის იმპერია ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო ხმელთაშუა ზღვის აუზში. კომნენოსებმა მრავალ წარმატებას მიაღწიეს „(მოიგერიეს ნორმანების შემოტევები ბალკანეთში, მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი წაართვეს სელჩუკებს და დააწესეს სუვერენიტეტი ანტიოქიაზე)“, თუმცა მათი მმართველობის

ხანა ბიზანტიის სიძლიერის ბოლო პერიოდი აღმოჩნდა. აქვე უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ეს სიძლიერე და ძლევამოსილება არ იყო ისეთი, როგორიც ეს მაკედონელთა დინაასტიის მმართველობის ხანას ახასიათებდა (https://ka.wikipedia.org/wiki/ბიზანტიის_იმპერია#კომნენოსთა_დინასტიის_ხანა_(1081-1185_წწ)).

კომნენოსების დროს დიდი ყურადღება ექცეოდა ფინანსურ მხარეს. იმპერიის ძირითად შემოსავალ წყაროს მოსახლეობისთვის დაკისრებული გადასახადები, ქვეშევრდომი ქვეყნებისგან მიღებული ხარკი და ვაჭრობა შეადგენდა. მართალია ხარჯიც დიდი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად ბიზანტია მაინც მდიდარი ქვეყანა იყო. განვითარებული იყო ეკონომიკა და მრეწველობა (**დილი, 1998**).

კომნენოსები გამორჩეულ ყურადღებას იჩენდნენ ეკლესიის მიმართ. „იმპერატორები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს სამღვდელოთა ზნეობას და განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობდნენ უფრო სადა, უფრო მარტივი და სამაგალითო გაეხადათ ბერ-მონაზონთა ცხოვრება“. კონსტანტინოპოლში მრავლად იყო საქველმოქმედო დაწესებულებები, საავადმყოფოები და ეკლესია-მონასტრები. „სულიერი კულტურის დონის წარმოსადგენად, რასაც XII საუკუნეში მიაღწია ბიზანტიამ, საკმარისია დავასახელოთ ისეთი მწერლები, როგორიც იყვნენ ანა კომნინა თუ ნიკიფორე ვრიენიოსი, ნიკიტა აკომინატი თუ ევსტათი თესალონიკელი“. ძეგლთა სიუხვით, ეკლესიებში დაცული რელიქვიებით და მდიდრულად მორთული სასახლეებით, კონსტანტინოპოლი მსოფლიოს აღტაცებას იწვევდა. „ბაღდადის გარდა, – წერს ბენჟამენ დე ტუდელი, – მსოფლიოს ვერცერთი ქალაქი ვერ შეედრება მას“. კონსტანტინოპოლი, ერთი მოსწრებული გამოთქმით, „შუა საუკუნეების პარიზი“ იყო. ეს სიმდიდრე კი ძვირად დაუჯდა იმპერიას, როცა გამომჟღავნდა მისი სამხედრო სისუსტე (**დილი, 1998; http://umurgulia82.blogspot.com/2018/05/1081-1453.html**).

ბიზანტიის იმპერიისათვის, როგორც სხვა დიდი და ძლიერი სახელმწიფოებისათვის, დამახასიათებელი იყო ქვეყნის შიგნით ურთიერთმტრობა და შუღლი, რაც ქვეყანას უკიდურესად ასუსტებდა. მისი ისტორია მეტად საინტერესოა, თუმცა ჩვენი განხილვის თემას წარმოადგენს ბიზანტია XII-XIII სს-ის მიჯნაზე. ამ პერიოდის ბიზანტიაში ტახტისათვის მიმდინარეობდა ბრძოლა. იმპერატორ მანუელ

კომნინის გარდაცვალების შემდეგ კიდე უფრო დაიძაბა მდგომარეობა ქვეყნის შიგნით. მანუელის ვაჟი ალექსი II მცირეწლოვანი იყო – უფლისწულის დედა, რეგენტი მარიამ ანტიოქიელი, წარმოშობით იყო ლათინი და ლათინებს ეყრდნობოდა, რის გამოც ხალხს არ უყვარდა. თავის მხვრივ, ეს უკმაყოფილება კარგად გამოიყენა ანდრონიკე კომნენოსმა და თვითონ გახდა იმპერატორი (1183-1185 წწ), რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ფეოდალებს. 1185 წელს ბეთანიაში აჯანყდა ისააკ ანგელოსი, მაგრამ იმპერატორმა შეძლო ამ აჟანყების ჩახშობა.

ანდრონიკე კომნენოსმა „გარდაქმნა ადმინისტრაცია, შეამცირა ხარჯები და შეამსუბუქა გადასახადები, ასე რომ, პოპულარობის მოსახვეჭად სწორ გზას ადგა“, თუმცა გარეშე მოვლენებმა – „ნორმანებთან ომმა, რაც ამ უკანასკნელთა მიერ თესალონიკის აღებით დამთავრდა (1185 წ.) და უნგრელების წინააღმდეგ ბრძოლამ, რის შედეგადაც დაკარგულ იქნა დალმაცია (1185 წ.), განაპირობა მისი დამხობა“ **(დილი, 1998).**

აღნიშნული პერიოდიდან კიდე უფრო შესამჩნევი გახდა იმპერიის დაქვეითების პროცესი, რაც გამოწვეული იყო ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით და არამდგრადობით. 1185 წ., ანდრონიკე კომნენოსის მკვლელობის შემდეგ, ტახტზე ავიდა ისააკ ანგელოსი (1185–1195) **(დილი, 1998; მამისთვალიშვილი, 2014:88).** ხოლო ეს უკანასკნელი საკუთარმა ძმამ ჩამოაგდო ტახტიდან, „1195 წელს ალექსი III-მ დაამხო და თვალები დასთხარა თავის ძმას ისააკ ანგელოსს. ტახტიდან ჩამოგდებულ იმპერატორთან ერთად მისი ვაჟი – ალექსიც დილეგში ჩააგდო“ **(ასათიანი, 2006:110).**

როგორც ვნახეთ, ბიზანტიაში XII ს-ის ბოლო პერიოდი არასტაბილური მდგომარეობით ხასიათდება. ხშირია ამბოხებები და გაუთავებელი შეთქმულებები სამეფო კარზე. ცენტრალური ხელისუფლება უკიდურესად დასუსტებული და ძირმორყეულია. „დედაქალაქში მთავრობას ბრბო კარნახობდა კანონებს; პროვინციებში კვლავ აღზევებას ცდილობდა არისტოკრატია და იმპერია თანდათანობით იშლებოდა“. გაადიდეს გადასახადები, იმპერიაში უწესრიგობა და სიღატაკე სუფევდა, სულს ღაფავდა პატრიოტული გრძნობა და სუსტდებოდა ელინური ტრადიციები **(დილი, 1998).** „მას ძველი ძლიერება და სიამაყე დაუკარგავს, დასუსტებულა, დაკნინებულა... იგი განუწყვეტელ შიშში და ავის მოლოდინშია... ერთი

მხრივ სელჩუკთა ტომების შესევას ელოდება, მეორეს მხრივ – ერთმორწმუნე დასავლეთისაგან პერიოდულად დაძრულ ჯვაროსანთა თავდასხმებს...“ – ასე ახასიათებს მკვლევარი ვ. ჭელიძე იმდროინდელ ბიზანტიას (**ჭელიძე, 1984:353**).

არც საგარეო მდგომარეობაა სტაბილური. მანამ სანამ მანუელ კომნენოსი ცოცხალი იყო, უზრუნველყოფილი იყო შინაგანი წესრიგი და იმპერიის ფარგლებს გარეთაც მტკიცე იყო ბიზანტიის ავტორიტეტი, მაგრამ როცა ძალაუფლება სუსტ ხელში აღმოჩნდა, თავი იჩინა შურისგების გრძნობის ყველა სავალალო შედეგმა, რაც მანუელ კომნენოსის მიერ ადრე განხორციელებული პოლიტიკის პასუხი იყო. ასე რომ ის საფრთხე, რომელიც იმპერიას გარედან ემუქრებოდა, მეტად სერიოზული იყო. „სერბიაში სტეფანე ნემანიამ თავისი ძალაუფლება გაავრცელა ჰერცოგოვინაზე, ჩერნოგორიასა თუ დუნაისპირა სერბიაზე და ვეებერთელა სახელმწიფო დააარსა. პეტრე და იოანე ასენების მეთაურობით აჯანყდნენ ბულგარელები და ვალახები (1185 წ.)“. ხოლო 1201 წლს ალექსი III იძულებული შეიქმნა ეცნო ბულგარელთა მიერ წარმოებული ომების ყველა შედეგი – „ბელგრადიდან შავ ზღვასა და ვარდარამდე“ (**დილი, 1998**).

ბიზანტიელებსა და ლათინებს შორის ურთიერთობა ყოველთვის დაძაბული იყო. 1175 წლიდან თითქოს ურთიერთობა დალაგდა, მაგრამ შვიდი წლის შემდეგ ისევ დაიძაბა. 1182 წელს ანდრონიკე კომნენოსის ტახტზე ასვლისას ოპონენტი ლათინები ულმობლად დახოცეს. ასეთმა ნაბიჯმა გააძლიერა დასავლეთის ქვეყნების გააქტიურება ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. „1185 წელს ნორმანები შეესიენ სალონიკს, 1189 წელს – ბარბაროსები – ადრიანოპოლისს“ (**ასათიანი, 2006:107-108**). ამ მოვლენების შემდეგ ბიზანტიასა და დასავლეთს შორის კიდევ უფრო მეტად გამწვავდა ურთიერთობა. ვენეციას სურდა შური ეძია 1182 წლის ხოცვა-ჟლეტის სანაცვლოდ და მის დასაშოშმინებლად ისააკი იძულებული გახდა ვენეციისათვის მიყენებული ზარალი აენაზღაურებინა და მნიშვნელოვანი პრივილეგიები მიენიჭებინა (1187 წ.). მიუხედავად ამისა, ვენეციელები გრძნობდნენ, რომ ბერძნების მძაფრი სიძულვილი მათ ვაჭრობას და უსაფრთხოებას კარგს არაფერს მოუტანდა. ამიტომ, როცა ვენეციის დოჟი გახდა ენრიკო დანდოლო (1193 წ.), ვენეციელებმა გადაწყვიტეს ბიზანტიის იმპერიის დაპყრობა. „პაპის მტრობა, ვენეციელების პატივმოყვარეობა,

მთელი ლათინური სამყაროს გაბოროტება – ყოველივე ეს გახდა იმის მიზეზი, რომ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ იქნა მიმართული“ (**დილი, 1998**).

ომის დაწყებისთვის საჭირო იყო საბაბი და ეს საბაბი, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, გახდა ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ანგელოსი (**ავალიშვილი, 1829:87; დილი,1998**).

ამგვარად, 1204 წელს იერუსალიმისკენ მიმავალი ჯვაროსანთა ლაშქარი კონსტანტინოპოლში აღმოჩნდა. „1204 წლის 12 აპრილს ლათინებმა კონსტანტინოპოლი აიღეს“. ბიზანტიისათვის ეს, რა თქმა უნდა, გამანადგურებელი დარტყმა იყო. კონსტანტინოპოლის აღებას მოყვა აღმოსავლეთ სამყაროს ძირეული შეცვლა, ბიზანტიის იმპერიამ დროებით შეწყვიტა არსებობა. იმპერიის დედაქალაქში, კონსტანტინოპოლში შეიქმნა ლათინური იმპერია, რომლის მმართველადაც დაინიშნა ფლანდრიის გრაფი ბოდუენი. იმპერიის განადგურებამ გამოიწვია რამდენიმე სახელმწიფოს წარმოშობა, მათ შორის ტრაპიზონის იმპერიისა, რომელიც, თამარ მეფის ძალისხმევით, ალექსი და დავით კომნენოსებმა დააარსეს. გარდა ამისა, ჯვაროსნები არ ინდობდნენ ბერძნებს, აწიოკებდნენ ქალებსა და ბავშვებს, არბევდნენ და ძარცვავდნენ კულტურულ ფასეულობებს, „პრაქსიტელეს ბრინჯაოს ქანდაკებები ფულის მონეტებად აქციეს“, გადაწვეს და გაავერანეს კონსტანტინოპოლი (**ასათიანი, 2006:110-112**). 1204 წლის 12 აპრილს მომხდარ მოვლენებს – მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად კონსტანტინოპოლის დაცემას – სერ სტივენ რუნსიმენტმა „კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ბოროტება“ უწოდა; ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი ნანგრევებად აქციეს. „ქრისტეს სახელით მისულებმა ქალაქი გადაწვეს, გაძარცვეს და ნაალაფევი ვენეციასა და პარიზში, ტურინსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში გაზიდეს“ (**https://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/102001725#h=3**).

ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაკავების გამო, ბიზანტიის საიმპერატორო კარი ქ. ნიკეაში გაიხიზნა. ამას შედეგად მოჰყვა ბიზანტიის ორად გაყოფა. დასავლეთ ნაწილში როგორც ვნახეთ ჯვაროსნების მიერ დაარსდა "ლათინთა იმპერია", აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა "ნიკეის იმპერია", ამ

მოვლენების პარალელურად კი შეიქმნა "ტრაპიზონის იმპერია" (http://www.ianusi.com/2018/03/blog-post_88.html).

სასაცილოა, მაგრამ მაშინ, როცა საუკუნეების მანძილზე ბიზანტია განუწყვეტლად იბრძოდა თურქების წინააღმდეგ, „სასიკვდილო დარტყმა" მას არა მაჰმადიანებმა, არამედ ჯვაროსნებმა მიაყენეს, რომლებმაც „მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს (1204 წელს) აიღეს და სასტიკად გაძარცვეს კონსტანტინოპოლი. ბიზანტიის ტერიტორია ლათინურ (ლათინთა იმპერია) და ბერძნულ (ნიკეის იმპერია, ტრაპიზონის იმპერია და ეპირის დესპოტატი), ერთმანეთთან დაპირისპირებულ სამეფოებად დაიშალა" (https://ka.wikipedia.org/wiki/ბიზანტიის_იმპერია)

ბიზანტიის სისუსტის პირველი მაჩვენებელი 1204 წელს კონსტანტინოპოლის აღება აღმოჩნდა. გაპარტახებულმა და გამოფიტულმა ბიზანტიის იმპერიამ ვერ შეძლო წინ აღსდგომოდა ჯვაროსანთა იერიშს. ამდენად, 1204 წლის მოვლენები ბიზანტიისათვის იყო გამანადგურებელი დარტყმა, რის გამოც ის ვეღარასოდეს გაიმართა წელში (**დილი, 1998**).

ამდენად, ანგელოსებმა (ბიზანტიის იმპერატორთა დინასტია 1185-1204 წწ.) ვერ შეძლეს ვერც საშინაო და ვერც საგარეო პრობლემების მოგვარება, ვერ შეძლეს ძალაუფლების შენარჩუნება და კიდე უფრო უარესი, მათ ვერ შეძლეს ქვეყნის მთლიანობის და სუვერენიტეტის შენარჩუნება (https://ka.wikipedia.org/wiki/ანგელოსები).

ასე დაეცა ჯვაროსანთა ხელით ბიზანტიის იმპერია, რომლის ძველი ბრწყინვალება მისსავე ადრინდელ სიძლიერეში მდგომარეობდა, „რითაც შექმნა კიდეც ორიგინალური, გამორჩეული და სიცოცხლისუნარიანი ცივილიზაცია, რომლის გავლენა ვრცელდებოდა, როგორც იმპერიის მოსახლეობაზე, ისე მეზობელ სახელმწიფოებზეც" (**ასათიანი, 2006:114**).

ბიზანტიური კულტურა შექმნილი იყო ბერძნული, რომაული და აღმოსავლური კულტურის ტრადიციებზე და საუკუნე ნახევრის უკან „ევროპის ქვეყნებთან შედარებით გაცილებით მაღალ დონეზე იდგა". იმპერიის მეზობელი ხალხები სხვადასხვა ხარისხით გაეცნენ ბიზანტიურ კულტურას, რამაც შემგომში დიდი გავლენა მოახდინა მეზობელი ქვეყნების არქიტექტურაზე, ლიტერატურაზე, სახვით ხელოვნებასა თუ სხვა

დარგებზე

(https://ka.wikipedia.org/wiki/ბიზანტიის_იმპერია#ბიზანტიური_კულტურა_და_განათლება).

ამდენად, ქრისტიანობისათვის მებრძოლმა ჯვაროსნებმა 1204 წელს ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა და აღმოსავლეთში ქრისტიანობის საყრდენი და დამცველი სახელმწიფო გაანადგურეს.

თავი III- ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და მისი მნიშვნელობა ზოგად-ქართული ინტერესების ჭრილში

§.1. ტრაპიზონის იმპერიის დაარსება თამარ მეფის მიერ

ტრაპიზონის იმპერია თავისებურ ვითარებაში ჩამოყალიბებულ და განვითარებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომლის დაარსება თამარ მეფის სახელს უკავშირდება. ეს პროცესი განხორციელდა XIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც შექმნილი საერთაშორისო ვითარება წინა აზიაში საქართველოს წისქვილზე ასხამდა წყალს (აღნიშნული საკითხი წინამდებარე ნაშრომის II თავში განვიხილეთ).

ტრაპიზონის იმპერიის დაარსება 1204 წელს, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მიმდინარეობის დროს განხორციელდა საქართველოს სამეფო კარის მიერ. იმპერიის პირველი იმპერატორი გახდა ალექსი კომნენოსი, რომელიც ანდრონიკე I კომნენოსის შთამომავალი იყო (**https://ka.wikipedia.org/wiki/ტრაპიზონის_იმპერია**).

დღესდღეობით იმპერიის დაარსებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მკვლევარის თუ ისტორიკოსის კვლევა-ძიებით უამრავი ვერსია და მოსაზრება დაგროვდა იმასთან დაკავშირებით თუ რა ვითარებაში ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო ერთეული, რომელ პერიოდში და რომელი ძალის მიერ. რაც კამათის საფუძველს ქმნის. ავალიშვილი თვლის, რომ „ქართლის ცხოვრება“ და პანარეტოსის ბერძნული მატიანე ადასტურებს იმას, რომ ტრაპიზონის იმპერია ნამდვილად 1204 წელს თამარ მეფის უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა (**ავალიშვილი, 1929: 83**)

რადგან აღნიშნული საკითხის შესასწავლად ზემოთ ნახსენები ორი წყაროა მნიშვნელოვანი, განვიხილოთ თითოეული მათგანი და ვნახოთ რაზეა საუბარი.

თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი თავის თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ გვაწვდის ცნობას ქართველი ბერების გაძარცვის თაობაზე ბიზანტიის იმპერატორ ალექსი ანგელოსის მიერ, რაც წინ უძღოდა ქართველების მიერ განხორციელებულ კონტრქმედებას: „მოიწინეს ოდესმე ჩუეულებისაებრ ქველისმოქმედებათათჳს ამისთა მონაზონნი შავისამთისა[ნი],

ანტიოქიით და კვპრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ადგილთათ. შეიწყნარნა თამარ ჩუეულებისაებრ ვითარ ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშვნა: მერმე მისცა ყოველთა დიადი და აღავსნა ყოვლითა საჴმრითა. უკანასკნელ მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო თჳთ მათთჳს და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად.

წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწივნეს რაჲ კოსტანტინეპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსის ანგ[ელ]სა, რომელმან ძმასა თჳსსა ისაკს თუალნი დასწუნა და მეფობა წარუღო. ესე ყოვლითურთ ბოროტი კაცი იყო და შეუტყუებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათჳს საძაგელ იყო ყოველთა მიერ. იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს, და წარუღო მათ მონაზონთა“ (**ქართლის ცხოვრება, 2012:507**).

სანამ ამ შემთხვევის გაგრძელებას ვიხილავთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ საქართველოს სამეფო კარზე დიდი ხანია მწიფდებოდა აზრი ჭანეთის დასაპყრობად. ამავე პერიოდში საქართველოში იმყოფებოდნენ ბერძენთა მიერ გადაყენებული საიმპერატორო სახლის კომნენოსთა წარმომადგენლები, რომლებიც ვერ იტანდნენ ანგელოსებს. ასე რომ თამარ მეფემ ბერების გაძარცვა საბაბად, ხოლო კომნენოსთა შურისძიება იარაღად გონივრულად გამოიყენა თავისი გეგმის განსახორციელებლად (**ჯანაშვილი, 1917:60**).

და მაშინ, როცა თამარმა გაიგო მონაზონთა გაძარცვის ამბავი, – აგრძელებს ბასილი ეზოსმოძღვარი, – „ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ და ამით უმეტეს არცხჳნა ეშმაკი; ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლიხთიქითნი; და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი; და მისცა ნათესავსა თჳსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თჳთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი“ (**ქართლის ცხოვრება, 2012:507**).

საინტერესოა, რომ ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით, სწორედ ამ მოვლენის შემდეგ აიღეს ჯვაროსნებმა კონსტანტინეპოლი, „ხოლო ესმა ესე ფრანგთა, რამეთუ მოეღო ბერძენთა შეწევნა აღმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუღეს

სამეუფო ქალაქი მეფობისა თანა; და შეიხუეწა უბადრუკი იგი ალექსი ბორღალეთს, თჳსისა სიძისა თანა“ – წერს იგი (**ქართლის ცხოვრება, 2012:507**). ეს ცნობა რეალობას არ შეესაბამება – ჯვაროსნებმა ალყის შემდეგ 12 აპრილს (ზოგი ცნობით 13 აპრილს) აიღეს კონსტანტინოპოლი, ქართველები კი ტრაპიზონში 23 აპრილს შევიდნენ (**მამისთვალიშვილი, 2014:91**). როგორც ჩანს, ბასილი ამ გზით ქართველთა როლის გაზრდას ცდილობს.

ფაქტობრივად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ასეთ აზრს ჯერ კიდევ ზ. ავალიშვილი ავითარებს. ავალიშვილს მკვლევარი ე. მამისთვალიშვილი ასე აფასებს: „პირველმა, ვინც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საქმეში თამარ მეფის საქართველოს მონაწილეობის ისტორია სერიოზულად გამოიკვლია და სამეცნიერო მიმოქცევაში მნიშვნელოვანი წყაროებიც შემოიტანა, იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ზ.ავალიშვილი“ (**მამისთვალიშვილი, 2014:88**). ავალიშვილის აზრით „ლათინთა „გამოსვლა“ შედეგი კი არ იყო ლაზიისა და სხვა ქვეყანათა ქართველთა მიერ დაჭერის, როგორც ამას თამარის პანეგირისტი მოგვითხრობს, პირიქით, ამ ადგილთა დაპყრობა „ივერთა“ დახმარებით და ტრაპიზონის დამოუკიდებელი სამეფოს აღიარება უეჭველად ერთი შედეგთაგანი იყო ლათინთა გამარჯვებისა“ (**ავალიშვილი, 1929:88**).

როგორც აღვნიშნეთ, „ტრაპიზონის იმპერიის“ დაარსების საკითხთან დაკავშირებით, ბასილი ეზოსმოძღვრის ნაშრომთან ერთად, მნიშვნელოვან ფაქტებს შეიცავს აგრეთვე ბიზანტიელი ისტორიკოსის, მიქაელ პანარეტოსის (XIV ს. მეორე ნახევარი - XV ს. დასაწყისი) წყარო „ტრაპიზონის ქრონიკა“, რომელიც იმპერიის დაარსების ამბით იწყება (1204 წლიდან). სწორედ იმ მოვლენით, რომელიც ჩვენ ასე გვაინტერესებს. „მოვიდა დიდი კომნინოსი ბატონი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის, გულმოდგინებითა და ღვაწლით, და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი აპრილში, მე-7 ინდიქტიონს, 6712 [ახალი წელთაღრიცხვით 1204] წელს“ (**მასალები..., 1960:10,16**). აქედან უკვე ნათლად ჩანს რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეული 1204 წელს ქართველთა (თამარ მეფის) ინიციატივით შექმნილა.

ქართულ მხარეს ბიზანტიის წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყებისთვის გათვლილი უნდა ჰქონოდა, ის, რომ ალექსი III (1195-1203) ანგარის მთელი ყურადღება ამ დროისათვის დასავლეთისკენ იყო გადატანილი, საიდანაც ჯვაროსნები ემუქრებოდნენ. ამ შემთხვევაში ბიზანტიის საიმპერატორო კარი ვეღარ მიაქცევდა ყურადღებას დედაქალაქიდან დაშორებულ ქალდიის თემში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისს. იმპერიაში შექმნილი უკიდურესი მდგომარეობა ქართველებისათვის ცნობილი უნდა გამხდარიყო 1203 წლის ივლისში, როდესაც „ვენეციელებმა ოქროს ყურეში ფლოტი შეიყვანეს და დედაქალაქს დაემუქრნენ. ამ დროიდან საბოლოოდ გადაწყდებოდა და დაიწყებოდა კიდეც სამხედრო კამპანიისათვის მზადება“ **(მამისთვალიშვილი, 2014:90).**

კომნენოსებმა ქ. ტრაპიზონი 1204 წ. აპრილში დაიკავეს. არსებული ცნობების თანახმად, როდესაც ალექსი ქართული ჯარით ტრაპიზონში შევიდა, ქალაქის მმართველმა ნიკიფორემ მას ციხე უბრძოლველად დაუთმო. ბიზანტიის კეისარმა ვერ შეძლო ქართველთა წინსვლას წინ აღდგომოდა, რადგან სწორედ იმ დროისათვის კონსტანტინოპოლს დასავლეთიდან ჯვაროსნები შეესიენ და აიღეს კიდეც. ასეთ სიტუაციაში კი ადგილობრივი ხელისუფლება ქართველების და კომნენოსების წინააღმდეგ ბრძოლას ვერ შეძლებდნენ, რადგან მათ მორალური და ფიზიკური ძალა არ ექნებოდათ (**ბატიაშვილი, 2012: 101).**

ვ. ასათიანი წერს, რომ ჯვაროსნების მიერ 1204 წელს კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ „ტრაპიზონში თამარ მეფის ძალისხმევით კომნინთა დინასტიის ორმა წარმომადგენელმა – ალექსი და დავით კომნენოსებმა – დააარსეს იმპერია, რომელიც მალე შავი ზღვის სანაპიროზე, ჰერაკლეადან კავკასიამდე გადაიჭიმა და XV საუკუნის მეორე ნახევრამდე (1461 წ.) იარსება“ **(ასათიანი, 2006: 110).**

ამდენად, თითქოს ურყევი ფაქტია, რომ ტრაპიზონის იმპერია თამარის ინიციატივით დაარსდა, მაგრამ მაინც არის მცდელობა ამ შეხედულების რევიზიისა. ზ. ბატიაშვილს მოჰყავს რამოდენიმე მკვლევარის მსჯელობა, რომლებსაც განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ მოცემულ საკითხთან დაგავშირებით:

ი. ფალმერაიერი, გერმანელი მეცნიერი, თვლის, რომ იმპერიის დაარსება შინაგანმა კანონზომიერებებმა გამოიწვია: „პონტოს მცხოვრებნი ოდითგანვე

მიილტვოდნენ თვითმყოფადობისაკენ და სურდათ „სავაჭრო რესპუბლიკის“ შექმნა“. ამავე დროს მეცნიერი დაეყრდნო თამარ მეფის გარდაცვალების არასწორად დადგენილ თარიღს (1202 წ) და ამიტომაც უარყოფდა იმპერიის წარმოქმნაში ქართველთა მონაწილეობას. ი. ფალმერაიერი „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობილ ინფორმაციას იმპერიის შექმნაში ქართული ჯარის მონაწილეობის შესახებ უფრო ადრეულ პერიოდს მიაწერდა და მას მძარცველურ თავდასხმად განიხილავდა“.

ამავე საკითხს ეხება მკვლევარი ჯ. ფინლეი, რომლის აზრით „იმპერიის დიდება მხოლოდ რომანებში არსებობდა და ვერ ხედავდა მისი შექმნის აუცილებლობას. ჯ. ფინლეი უარყოფდა იმპერიის დაარსებაში ქართველების წვლილს და ამტკიცებდა, თითქოს კომნენოსები კოლხეთში გაიქცნენ ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის ადაპყრობის წინ 1203/04 წელს“.

აღნიშნული საკითხი რუსმა ბიზანტიოლოგმა, თ. უსპენსკიმ კიდე უფრო სხვანაირად წარმოაჩინა. მან დასვა კითხვა: „ტრაპიზონის იმპერია ბიზანტიზმის გაგრძელება და ბუნებრივი ევოლუცია იყო თუ დამოუკიდებელი წარმონაქმნი?“. ის აანალიზებდა რეგიონის ჭრელ ეთნიკურ შემადგენლობას და თვლიდა, რომ ბერძნები მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს შეადგენდნენ. აღმოსავლეთით მთავარი ადგილი ეჭირათ ლაზებს, ხოლო დასავლეთით ჭანებს და სომხებს. მმართველი კლასი შედგებოდა ძირითადად ქართული (ლაზური) ელემენტისაგან. ამიტომ თ. უსპენსკი ასკვნის რომ იმპერიის წარმოქმნა ეწინააღმდეგებოდა ელინიზმის ინტერესებს, რომლის ცენტრს წარმოადგენდა ნიკეა. „თ. უსპენსკისთვის იმპერიის დაარსება საქართველოს მიერ აღმოსავლეთ შავიძღვისპირეთში უპირატესობის მოპოვებისთვის ბრძოლის ეპიზოდია“. იმპერიის შექმნისას უპირველეს საკითხად საქართველოს როლს მიიჩნევდა ასევე რუსი მეცნიერი ა. ვასილიევიც, რომლის თეორიის წინააღმდეგაც გაილაშქრეს რუმინელმა ნ. იორგამ და ბერძენმა ლამპსიდისმა.

აკადემიკოსი ა. კუნიკი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც საკითხი ობიექტურად შეისწავლა, მან ერთმანეთს შეადარა პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა „ და „ქართლის ცხოვრება“. რის შემდეგაც დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ

1204 წლის ლაშქრობის ინიციატორი სწორედ ქართველი მეფე იყო (**ბატიაშვილი, 2012: 76-79**).

ქართველი მკვლევარები კი შემდეგნაირად მსჯელობენ: ხახანაშვილი ამბობს: „თამარ მეფემ ტრაპიზონის იმპერიის ორგანიზაციით ალექსი ანგელოსის შური იძია, მისთვის რომ ქართველები გაძარცვა, მეფის მიერ აღმოსავლეთში საჩუქრებით გამოსტუმრებული“. ივ. ჯავახიშვილი ბრძანებს: „როცა ბიზანტიის კეისარმა ალექსი III...ბერებს თამარ მეფის ნაჩუქარი ოქრო წაართვა, მაშინ თამარმა ანგარ კეისრის დასასჯელად ჯარი გაგზავნა“. თ. ჟორდანია აღნიშნავს ერთის მხვრივ იმას, რომ თამარ მეფეს „ ამდენ ადგილთა“ დასაპყრობად, რომელსაც მემატიანე ჩამოთვლის, დრო დასჭირდებოდა, ასე რომ ქართველთა გალაშქრება 1203 წელს უნდა მომხდარიყო და მეორეს მხვრივ, „თამარის ჯარისგან ბერძნების დამარცხება (ფრანგებმა) ჩინებულად გამოიყენეს: შევიდნენ კონსტანტინეს ქალაქში და დაიჭირეს 12 აპრილს 1204 წ“ (**ავალიშვილი, 1929: 84-85**).

ზოგიერთი თანამედროვე უცხოელი მეცნიერი სულაც იმას ცდილობს, რომ მიჩქმალოს ამ საქმეში საქართველოს როლი და ისეთ აბსურდამდე მიდის, რომ თამარ მეფეს ბერძენ ბატონიშვილად თვლის, რომელიც თითქოს საქართველოში იყო გამოთხოვილი, ქმარი მოუკვდა და ქმრის სიკვდილის სემდეგ ტახტზე თვითონ დაჯდა (**მასალები .., 1960: 10**). მაგალითად, ფალმერაიერი თვლის, რომ მიქაელ პანარეტოსის მიერ მოხსენიებული თამარი ანდრონიკე კეისრის ასული იყო და, შესაბამისად, მანუელ კომნენოსის და; ანუ მანუელის შვილების – ალექსისა და დავითის – მამიდა. როცა ანდრონიკე კომნენოსი მოკლეს და კონსტანტინოპოლს ისააკ ანგელოსი გაამეფეს – ამ თამარმა ანდრონიკეს შვილის-შვილები კოლხეთში წამოიყვანა და იქ დააბინავა. და როცა დასავლეთიდან მოსულმა ფრანგებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, მაშინ კომნენოსბი თავიანთი თავშესაფრიდან გამოვიდნენ... შოტლანდიელი ფინლეი კი ამტკიცებს, რომ თამარი, ანდრონიკეს ასული, რომელიმე კოლხელი მთავრის მეუღლე იყო და ამ მამიდის დახმარებით, „ახალგაზრდა კომნენებმა „ივერთა“ ჯარი შეჰკრიბესო და ტრაპიზონი დაიჭირეს 1204 წ“ (**ავალიშვილი, 1929: 92-94**).

ჩვენ არაერთხელ ვახსენეთ კომნენოსები და ვფიქრობ მათზეც უნდა ვთქვათ ცოტაოდენი. ადრე დინასტიური ქორწილები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რადგანაც ამ გზით ადვილი იყო მშვიდობის დამყარება ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის. დინასტიური ქორწილი ბიზანტიასა და საქართველოს შორის ჯერ კიდე დავით აღმაშენებლის დროს შედგა. "ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი" ავტორი დავით IV აღმაშენებლის ასულის, კატაის ბიზანტიაში გათხოვების შესახებ გვამცნობს: „ასული თჳისი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისა" (**ქართლის ცხოვრება, 2012:317).** ასე რომ კატა (ბიზანტიაში მას ევდოკიას უწოდებდნენ) კომნენოსების რძალი იყო. იგი იყო ალექსი I კომნენოსის ვაჟის ისააკის მეუღლე. მათ შეეძინათ ვაჟი ანდრონიკე, რომელიც ბიზანტიის იმპერატორი იყო 1183-1185 წწ. ანდრონიკეს ჰყავდა ორი ვაჟი: უკანონო ალექსი და კანონიერი მანუელი. მანუელი საქართველოში შემოხიზნული ალექსის და დავითის მამა იყო. ანდრონიკე 1185 წ. ლინჩის წესით გააასამართლეს. მისი უფროსი ვაჟი მანუელი კი სასტიკად აწამეს და მალევე გარდაიცვალა. ხოლო წყაროები თანხმდებიან, იმაზე რომ მანუელის მეუღლემ რუსუდანმა (მისი სახელი ქართველობას გვაფიქრებინებს – ზ. ბ) მცირეწლოვან შვილებთან, ალექსისთან და დავითთან, ერთად მოახერხა საქართველოში თავის შეფარება (**ბატიაშვილი, 2012: 71,73,74).**

დღეს უკვე გავრცელებულია მოსაზრება, რომ ალექსი და დავით კომნენოსები იყვნენ ბიზანტიის იმპერატორის მანუელ კომნენოსისა და საქართველოს მეფის გიორგი III-ის ასულის რუსუდანის შვილები. 1185 წელს, როცა კონსტანტინოპოლში სახელმწიფო გადატრიალება მოეწყო, ბავშვების მამა და პაპა ანდრონიკე I დაიღუპნენ. ალექსი და მისი ძმა დავითი კი საქართველოში საიდუმლოდ ჩამოვიდნენ, სადაც მათი დეიდა თამარი მეფობდა. ამდენად, თამარმა ტრაპიზონის იმპერატორად თავისი დისშვილი ალექსი I კომნენოსი აკურთხა (**https://ka.wikipedia.org/wiki/ალექსი_I_(ტრაპიზონი)**).

ეს ინფორმაცია ქართულ წყაროებში არ დასტურდება, არც ქართული ისტორიოგრაფია ამბობს ამაზე რაიმეს და ამიტომ დღემდე ალექსი მიიჩნეოდა ბიზანტიაში გათხოვილი დავით აღმაშენებლის ასულის შთამომავლად. ინტერნეტში კი გამოჩნდა მონაცემები, რომ თითქოს ალექსი და დავით კომნენოსები თამარის

დისწულები იყვნენ. ქართული წყაროებიდან არ ჩანს ისიც, თუ როგორ მიათხოვა გიორგი III-მ თავისი მამიდის ვაჟს ქალიშვილი (http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=64&id=2457).

ინტერნეტში ასევე გავრცელებულია ინფორმაცია, რომ ალექსი და დავით კომნენოსები თამარის დისწულები კი არა, მამიდაშვილები ივნენ. ანდრონიკეს მეუღლე გიორგი III-ის და, რუსუდანი იყო. რუსუდანს და ანდრონიკეს სამი შვილი ჰყავდათ. მათგან ერთი – მანუელი ბიზანტიაში გარდაიცვალა, ხოლო ალექსი და დავითი რუსუდანმა საქართველოში ჩამოიყვანა. (http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=5&id_artc=34024).

მოცემული ინფორმაციიდან ჩვენ მხოლოდ ერთი რამის თქმა შეგვიძლია, რომ ბაგრატიონებს და კომნენოსებს ნათესაური ურთიერთობა უდაოდ აკავშირებთ. უდაოა ისიც, რომ ტრაპიზონის იმპერიაში კომნენოსების შთამომავალი გამეფდა, მაგრამ ეს ბიჭი თითქმის სამი წლის ასაკიდან თმარ მეფის კარზე იზრდებოდა. ა. კუნიკი 1854 წელს გამოქვეყნებულ შრომაში აღნიშნავდა: „ტრაპიზონის პირველი მეფე ალექსი და მისი ძმა დავითი ისე პატარები უნდა ჩამოეყვანათ საქართველოში, რომ ბერძნული ენის სწავლა მხოლოდ აქ თუ შეეძლოთ. ამასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ მათი მშობლიური ენა ქართული უნდა ყოფილიყო.., რომელიც უკეთ უნდა სცოდნოდათ, ვიდრე თავიანთი მამეული ენა. რაკი თავიანთი ნათესავის, თამარ მეფის, კარზე იზრდებოდნენ – ქართველ დიდებულებსა და მეომრებში, ქართული ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების გავლენის ქვეშაც იყვნენ; ასე, რომ ოცი წლის ასაკში ალბათ ქართველ დიდებულებს უფრო ჰგვანდნენ, ვიდრე ბიზანტიელებსაო“ (**მასალები...**, 1960:9).

აქვე უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ მართალია ალექსი კომნენოსი ისტორიული ქართული მიწების ქალდეა-ტრაპიზონის კეისარი გახდა, მაგრამ სინამდვილეში ის თამარის ქვეშევრდომი და ვასალი იყო, რაც ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, ალექსი ერთიანი ქართული სივრცის ერთ-ერთი ნაწილის მეფე იყო (http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=64&id=2457).

მაშასადამე, ტრაპიზონის იმპერია დაარსდა საკმაოდ საინტერესო სიტუაციაში, თამარ მეფის უშუალო ხელშეწყობით და კომნენოსების გვარის ორი წარმომადგენლის, ამავდროულად დავით აღმაშენებლის მეკვიდრეების, „გიორგი

III-ის შვილიშვილებისა და რუსუდანის ძენის – ძმები დავით და ალექსი I-ის მიერ (მართავდა 1204-22 წწ)“ (**http://tao-klarjeti.com/portal/2013-04-23-12-58-26/ტრაპიზონი**).

§. 2. ტრაპიზონის იმპერიის ეთნო-რელიგიური შემადგენლობა

თამარ მეფის უშუალო ხელმძღვანელობით დაარსებული ტრაპიზონის იმპერია ტერიტორიულად საკმაოდ ვრცელი სახელმწიფო იყო.

მეფის ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით, მან მოიცვა შემდეგი ქალაქები და მხარეები: „ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი“ **(ქართლის ცხოვრება, 2012:507).**

ისტორიკოსი ზ. ბატიაშვილი ასე შემოსაზღვრავს ამ სივრცეს: „ჩრდილოეთით ახალ სახელმწიფოს ბუნებრივად ესაზღვრებოდა შავი ზღვა, დასავლეთით – მდ. სანგარისი. სამხრეთით საზღვარი ზოგიერთ ადგილას საკმაოდ ღრმად შედიოდა კონტინენტში. მაგალითისთვის შესაძლოა მოვიტანოთ ქალაქები განგრა (დღევანდელი ჩანქირი – ზ. ბ.) და ნეოკესარია (დღევანდელი ნიქსარი – ზ.ბ), რომლებიც აღნიშნული იმპერიის ფარგლებში შევიდა“ **(ბატიაშვილი, 2012:108).** შემდეგ აგრძელებს: „ეს საზღვარი მეტ-ნაკლებად ემთხვევა დღევანდელი თურქეთის შავიზღვისპირეთის რეგიონის კონტურებს, რომლის ფართობიც 141 ათასი კვ. კმ.-ია (შედარებისთვის – დღევანდელი საქართველოს ფართობი 69,7 ათასი კვ. კმ.-ია)“ **(ბატიაშვილი, 2012:110).**

ბასილი ეზოსმოძღვრის მიერ ჩამოთვლილი ადგილებიდან საინტერესოა „ლიმონი“, იგივე ლიმნია, ლიმანი. იგი იყო ტრაპიზონის იმპერიის დასავლეთ ნაწილში არსებული ადმინისტრაციული ერთეული. მოიცავდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, მდინარე ირისის (იეშილ-ირმაქი) შესართავთან არსებულ სივრცეს. XII-XIII საუკუნეებში ლიმნია ტრაპიზონის იმპერიის საყრდენ ტერიტორიას წარმოადგენდა, რომელშიც თექვსმეტი საიმპერატორო ციხესიმაგრე შედიოდა **(https://ka.wikipedia.org/wiki/ლიმნია).**

ტრაპიზონის იმპერიასა და საქართველოს შორის ოფიციალური საზღვარი, როგორც ჩანს, ხოფის მახლობლად, მის დასავლეთით გადიოდა **(სარფი, 2015:11**). უფრო დასავლეთით მდებარეობდა რიზეს ოლქი (საკუთრივ ლაზია) და

სოტიროპოლი (იგივე სატყეპელა). მათ შორის, მდინარე კალოს ხეობაში, პავლე ინგოროყვას მიხედვით, მდებარეობდა ისტორიული ციხე, რომელსაც რკინის-პალო ეწოდებოდა (**ინგოროყვა, 2003: 48).** XIII ს-ში ეს მხარე წარმოადგენდა კონდომინიუმს (ანუ ერთობლივ საგამგებლოს), რომელზედაც ვრცელდებოდა როგორც ტრაპიზონის "მეფის", ისე საქართველოს "მეფეთ-მეფის" ხელისუფლება, XIII ს-ის დასასრულს კი იგი უშუალოდ საქართველოს ფარგლებში შემოვიდა (**სარფი, 2015:11; ინგოროყვა, 2003:48**).

როგორც ჩანს, სწორედ ეს მომენტი აქვს მხედველობაში ვახუშტი ბატონიშვილს, როცა წერს: "ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავი ზღვის კიდის წადევნებით გონიიდან ტრაპიზონის საზღვრამდე. გონიის დასავლით მოერთვის ზღუას მდინარე, ჭანეთში გამომდინარე ჭანეთის მთისა, რომელი მდებარეოს ჭანეთსა და ფორჩხის ხეობას შორის და მოდის ჩდილოთ. ამ მდინარის იქით არს ხოფჯა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხოფჯისა, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. კუალად მოერთვის ზღუასა მდინარე, ხოფჯას იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთისა, რომელი არს ბაიბურდსა და ჭანეთს შორის, და მომდინარე ჩდილოთ კერძოდ. ამ მდინარის დასავლით არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ. მოერთვის მუნვე მდინარე მისივე ზღუასა, და გამოსდის მასვე მთასა და მოდის ჩდილოთ. ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინღა ზღუამდე, ჭანეთის მთიდამ. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინის პალო, აქავ არს სატყეპელა" (**ვახუშტი, 1941:142).**

ასეთი იყო ტრაპიზონის იმპერიის საზღვრები მისი დაარსების მომენტისათვის. საინტერესოა, რომ ზ. ბატიაშვილის მითითებით, „ტრაპიზონის იმპერიას თავიდანვე დაექვემდებარა ყირიმში არსებული ძველი ბიზანტიური ტერიტორიები, რომლებიც პერატეიას (ზღვისიქითა მიწები) სახელით იყო ცნობილი" (**ბატიაშვილი, 2012:110).**

რაც შეეხება ჭანეთს, იგი მდებარეობს დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თურქეთის ლაზისტანის აღმოსავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებთან, „III–IV ს-ში იგი მოიცავდა შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთს, მდინარე ჭოროხის ზემო წელის აუზს. მოგვიანებით

სახელწოდება გავრცელდა მის მიმდებარე ზღვის სანაპირო ტერიტორიაზეც“. სამხრეთით მისი საზღვარი ჭანეთ-პონტოს (ლაზისტანის) ქედზე გადიოდა, რომელსაც ანტიკურ ხანაში სკვიდისის ქედი ერქვა **(ჭანების (ლაზების) ისტორია).**

ვახუშტი იძლევა ჭანეთ-ლაზეთის ძალიან ლამაზ და მხატვრულ გეოგრაფიულ დახასიათებას: „ხოლო მთა ჭანეთისა ძეს დასავლიდამ აღმოსავლეთად, მცირედ ჩდილოთ მიწევით, და მივალს ვიდრე ჭოროხამდე. არს თხემთა უტყ[ე]ო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. გარნა ჭანეთიცა ფრიად ტყიანი, გორა-მთა-ღელეიანი, არამედ ხილიანი, ვენახიანი, მარცვლებით მოსავლიანი ბრინჯ-ბანბითურთ და ნაყოფიერებს ფრიად. პირუტყვნი, ნადირნი ფრიად მრავალნი; ფრინველნი და თევზინი ურიცხვნი; მწერნი მრავალნი, ფუტკარი და თაფლი ბევრად. ჰავით ზღვის კიდური ცხელი, მთის კერძონი კეთილ-ჰაოვანნი. ზამთარი თბილი, ზაფხული არა გაუძლისი“ **(ვახუშტი, 1941:142).**

ტრაპიზონის იმპერიის ტერიტორია უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართული ტომებით. არა მარტო ქართულ, არამედ ასურულ, ბერძნულ, რომაულ, სომხურ, ბიზანტიურ თუ სხვა წყაროებზე დაყრდნობით, ქართული ისტორიოგრაფია ამ რეგიონში ასახელებს მრავალ ქართულ ტომს, რომლებიც აქ ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მოსახლეობდნენ. ესენია: „ხალიბები, ტიბარენები, კოლხები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, ტაოხები და სხვა ქართველი ტომები” **(გოზალიშვილი, 1965:6; ჭანების (ლაზების) ისტორია).** ამრიგად, ტერიტორია, სადაც პონტოს სამეფო ჩამოყალიბდა, ძველთაგანვე ქართველი და ქართველთა მონათესავე ტომების ადგილობრივი საცხოვრისია. ეს ტომები პონტოს სამეფოს მთავარ ეთნიკურ ბირთვს შეადგენდნენ. მეტიც, დ. ხახუტაშვილი თავის დისერტაციაში – „შავი ზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით“ – აღნიშნავდა, რომ „ძველი წელთაღრიცხვით IV-II საუკუნის მიჯნაზე შავი ზღვის სანაპიროს ქართველური ტომები ერთ პოლიტიკურ გაერთიანებად არის წარმოდგენილი – ესაა პონტოს სამეფო“ **(გოზალიშვილი, 1965:5-6).**

პონტოს სამეფო ჩამოყალიბდა, ელინისტურ ხანაში, ჩვენთვის საინტერესო რეგიონში (ძვ.წ.აღ.-ით 302-64 წწ.) **(ბატიაშვილი, 2012:23; https://ka.wikipedia.org/wiki/პონტოს_სამეფო).** სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა

ქალაქები, რომლებიც წარმოადგენდნენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებს. ესენია: სინოპე, ამისოსი, ამასია, ტრაპიზონი, გაძიურა და სხვ. აღნიშნული ქალაქები სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება როგორც ბერძნული ქალაქები, თუმცა ჩვენი დროის მეცნიერულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ეს ასე არაა. გ. გოზალიშვილი წერს, რომ „როგორც ამ ქალაქთა ირგვლივ, ისე შორს მათს დასავლეთით, არსებობდა ქართველ ტომთა მოსახლეობა, რომელმაც დასახელებულთა გარდა, შეჰქმნა სხვა მრავალი მომსხო პუნქტი, გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე იქ ბერძენი კოლონისტები გაჩნდებოდნენ... და არსებითად ბერძენი კოლონისტები სწორედ ამ პუნქტებმა მოიზიდა და არა უდაბურმა ადგილებმა“ **(გოზალიშვილი, 1965:7).** 1958 წ. გამოვიდა „საქართველოს ისტორია (ტომი I) სადაც ნათქვამია,რომ პონტოს სამეფო „შეიქმნა ძვ. წ. IV ს., მცირე აზიაში, – ქართველი (მეგრულ-ჭანური) და მისი მონათესავე სხვა ტომების მიწა-წყლის ხარჯზე“ **(გოზალიშვილი, 1965:5).** ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ამ ცნობებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ხმამაღლა ვთქვათ, რომ ზემოთ აღნიშნული ტერიტორია არა თუ ბერძნული, არამედ ერთ-ერთი ქართული სახელმწიფო იყო.

ჭანეთის მოსახლეობას რაც შეეხება, ახ.წ. I საუკუნიდან სახელები: მაკრონები, დრილები, ბეხირები, მოსინიკები, მარები, ნაწილობრივ ტიბარენები და ხალიბ-ხალდები ჩაანაცვლა კრებითმა სახელმა „ჭანები“. თუმცა ცალკეული ტომები დიდხანს ინარჩუნებდნენ თავიანთ თვითმყოფადობას, რაზეც მიანიშნებს პროკოპი კესარიელის სიტყვები: „ჭანები მრავალ ტომებად განიყოფებიან“ (**ჭანების (ლაზების) ისტორია**).

სამართლიანად მიუთითებს მკვლევარი გაიოზ მამალაძე, რომ ახალი სახელმწიფოს (ტრაპიზონის იმპერიის) ტერიტორია ისტორიულად ქართული მიწები იყო და ამ ტეროტორიაზე მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართველები – ლაზები იყვნენ. ტრაპიზონის იმპერიას პირობითად შეიძლება ლაზეთის იმპერია ვუწოდოთ, რადგან ეს ტერიტორია ისტორიულად მუდამ ქართული (ხალდურ-ხალიბურ-ჭანურ-ლაზური) იყო. „ტრაპიზონის საკეისროში აბსოლუტური უმრავლესობა, ან დიდი უმრავლესობა მაინც, ჩვენი ვარაუდით 60-70% ეთნიკურად ქართველი, ლაზი, ჭანი ცხოვრობდა“. ქალაქებში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ, ასევე: ბერძნები, სომხები, ებრაელები და სხვა (**მამალაძე, A).** გარდა ამისა,

ქართველი და უცხოელი მემატიანეები, მოგზაურები თუ მეცნიერები ხშირად აღნიშნავენ იმასაც, რომ ლაზები ტრაპიზონამდეც და იმის იქითაც საკმაოდ დიდი რაოდენობით ცხოვრობენ (**ნიკოლეიშვილი, 2016:10).**

ლაზებს საქართვრლოს ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ, მათი მიწა შესაძლოა უფრო ქართულია, ვიდრე დანარჩენი საქართველო, რადგან სწორედ ამ მიწიდან წამოვიდნენ „ბაგრატიონები, აქ ჩაეყარა გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში საფუძველი საქართველოს გაერთიანებს, აქედან იყო შოთა რუსთაველი და პირველად ამ მიწაზე დაადგა ფეხი წმინდა ნინომ…“ ლაზები მნიშვნელოვან ეთნიკურ და პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ ძვ. წ. I საუკუნის ბოლო პერიოდიდან. მაშინ, როცა კოლხეთის სამეფოს რომაელები შემოესივნენ, კოლხეთის სამეფო ხელისუფლება ლაზების ხელში გადავიდა, რომლებიც კიდე უფრო დაწინაურდნენ. იოანე ლიდე (V-VI ს.) წერს: „კოლხიდას ამჟამად ლაზიკეს ეძახიან ჰეგემონისაგან”. ლაზიკის სამეფო დღევანდელ დასავლეთ საქართველოს და მის მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავდა. პონტოელი ლაზები (ჭანები) შემდგომ ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ, კოლხ ლაზებს კი მეგრელები ეწოდათ. აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „VI საუკუნის ლაზიკაში აღარ ჩანდა აგრე რიგად ტომობრივი გამოკვეთილობა (არც პოლიტიკური და არც ეთნიკური) რომ ლაზიკა ერთი მთლიანი ხალხი იყო და ძველი ტომობრივობის კვალი გაქრობის გზაზედ იდგა. თორემ ძველად რომ ეს ტომობრივობა აშკარად ჩანდა, ამას ხომ ძველი ბერძნული წყაროები მოწმობენ (ეკრიკტიკე, მონრალოი). ჩანს, ამ ხნის განმავლობაში ეს უახლოესი მონათესავე ტომები (ლაზები, ეგრები და სხვ.) ერთიმეორეს ისე დაახლოებიან, ერთიმეორეს ისე შერწყმიან, რომ მათი სხვადასხვაობა ჩვეულებრივი მიმომხილველისათვის შეუმჩნეველია. ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ პროკოპი მათ ყველას ერთი სახელით იცნობს – ლაზი – და ისიც, რომ ეს “ლაზები”, თავისი ძველი ტომობრივი წარმომავლობის მიუხედავად, ყველანი თავიანთ თავს კოლხთა ჩამომავლად სთვლიან” (**ლაზეთის ისტორია).**

ავთანდილ ნიკოლეიშვილს მოჰყავს აგათია სქოლასტიკოსის (VIს) შეხედულება, რომელიც აღნიშნავს, რომ ლაზები და კოლხები ეთნიკურად ერთი და

იგივე ხალხია. „ლაზები ძლიერ ტომს წარმოადგენენ და ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით“ (**ნიკოლეიშვილი, 2016:31).**

გვარები „ჭანიში, ჭანია, ჭანიშვილი, ლაზიშვილი, ქალდანი, ხალიბაური, თორდია (თოდრიაც), ბაღვაში, ხალვაში, დურმიშიძე, ჯიხაძე, ნაკაშიძე, ბაგრატიონი და სხვა“ ლაზეთს, ქალდეას უკავშირდება (**მამალაძე, B).**

ლაზეთს უხდებოდა თავგანწირული ბრძოლა რომის, ბიზანტიისა და ირანის წინააღმდეგ. პოლიტიკურ ბრძოლას კი თან სდევდა რელიგიური დაპირისპირება. ლაზეთში პირველსავე საუკუნეებში დამკვიდრებული იყო ქრისტიანობა (**ლაზეთის ისტორია).** პროკოპი კესარიელის ცნობით - „ტრაპეზუნტელებსა და ლაზებს შორის ცხოვრობს ერთი ტომი“, რომლებიც არც ლაზ და არც რომაელ მონარქებს არ ექვემდებარებიან, თუმცა ისინი ქრისტიანები არიან, რომლებსაც ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მღვდელმსახურებს. ეპისკოპოსებში იგულისხმება „პეტრას, ზიგანას, საისინის, ფასისისა და როდოპოლისის ეპისკოპოსები“. პროკოპი მიუთითებს, რომ ეს იყო ზიგანას მხარე – „რიზე-ათინა-ხოფას რეგიონი, ძიდრიტების ტომის ძველ საცხოვრისთან, რომელიც I საუკუნისათვის იბერიის მეფე ფარსმანს ემორჩილებოდა, ახლა კი VI საუკუნისათვის ბიზანტიელთა ხელქვეშ იყო“ (**ჯაფარიძე, A, 2013:86-87).**

მაშინ, როცა საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მოიპოვა, ამ დროს „ხუფათის ციხეც (თანამედროვე ხოფა, რიზეს აღმოსავლეთით) და მთელი „კლარჯეთისა ზღვის პირი“ ვახტანგ გორგასლის ხელში იყო“. ტ. ფუტკარაძეს მოჰყავს პ. ინგოროყვას ცნობა, რომლის აზრითაც V საუკუნეში მცხეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდა იმ დროისათვის ახლად დაარსებული ტამბურის საეპისკოპოსოც. პ. ინგოროყვას მიერ შედგენილ ჭანეთ-ლაზეთის რუკაზე „ტამბური, ანუ ჰამამაშენი ზღვისპირისა“ მდებარეობს; „მდ. ფურტუნას შესართავთან, ანუ დღევანდელი ქ. არტაშენის (თურქ. არდეშენ) ადგილას. ე.ი. მცხეთის საკათალიკოსოს იერარქი, ხუფათის (ხოფა) გარდა, მჯდარა დღევანდელ ქ. არტაშენშიც“ (**ფუტკარაძე და სხვ.).**

XIX-XX საუკუნეებამდე ქართული საისტორიო სკოლა მიიჩნევდა, რომ დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებისთანავე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, მაგრამ XX საუკუნის ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართველო IX-X საუკუნეებამდე კონსტანტინეპოლის იურისდიქციაში

იყო და ამის შემდეგ მიიერთა ის ქართულმა ეკლესიამ. პირველი ანუ ძველი თეორია გადმოცემულია „რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერასა და ძველქართულ წყაროებში“, მეორე კი ასახულია ყველა თანამედროვე გამოცემაში, რომელსაც ვუწოდებთ „საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ ამჟამად არსებულ ოფიციალურ თეორიას“ (**ჯაფარიძე, A, 20013:15**). პირველი თეორია რეალობას ასახავს, მეორე, ანტიმეცნიერული თეორია კი ანტიქართული ძალების მიერ არის თავსმოხვეული.

ეკლესიის ძველი მემატიანეების (განსაკუთრებით რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მამების) ცნობით, დაარსებისთანავე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში როგორც აღმოსავლეთ საქართველო, ისე დასავლეთ საქართველოც იყო მოქცეული, რომელიც წმიდა ნინოს დროიდანვე არა კონსტანტინოპოლის, არამედ „მცხეთის საეკლესიო იურისდიქციაში შედიოდა, რადგან ის ეროვნული წყაროების ცნობებით ქართლის სამეფოს ნაწილი იყო“ (**ჯაფარიძე, A, 2013:6**)

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების დროს არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის ზ. ჭიჭინაძე. „ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდეგ მთელს კუთხეში სასულიერო წოდების დამცველად იყვნენ ქართველი ეპისკოპოსნი და უფროსი მღვდელთმთავარი სცხოვრობდა ტრაპიზონს, რომელსაც სახელად აქვნდა – „ეპისკოპოსი ზემო ქართლის“. სასულიერო გამგეობაში ყველგან იხმარებოდა ქართული ენა და სადაც ბერძენთა რიცხვი დიდი იყო, იქ ბერძნული ენა მეფობდა“ – წერს იგი (**ბატიაშვილი, 2012:91**).

„ჩვენი წყაროები: „მოქცევაი ქართლისაი“ თუ „ქართლის ცხოვრება“ ღაღადებენ, რომ ქრისტეს შობამდე შექმნილი ერთიანი საქართველოს – „ქართლის სამეფოს“ მოსახლეობა იმთავითვე იყო ქართველი ხალხი“... (**ჯაფარიძე, B, 2013:52**). ამდენად, ბიზანტია საეკლესიო იურისდიქციას ახორციელებდა მის მიერ მიტაცებულ ქართველთა უძველეს ქვეყანაში, ისტორიული ლაზიკის ერთ ნაწილში, ტრაპეზუნტის რეგიონის მხარეს, სადაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ დანარჩენ სამიტროპოლიტოებთან ერთად ჩამოაყალიბა „ფაზისის (ფასიდის) სამიტროპოლიტოს საეპისკოპოსო კათედრები – ზიგანა, პეტრა, როდოპოლისი და საისინი“. ისინი, როგორც ითქვა, ქართველი ერის უძველეს სამშობლოში

მდებარეობდნენ, რომელსაც ლაზეთი და ქალდეა ერქვა. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ „ქალდეა იყო სამშობლო ყველა ქართული ტომისა, მათ შორის ცხადია სვანებისა და მეგრელ-ჭანებისა“ (**ჯაფარიძე, A, 2013;6).**

ივ. ჯავახიშვილი დიდი ქომაგი იყო ქართული ეკლესიისა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ეკლესიის მთლიანობას და მის დამოუკიდებლობას. მისი სიტყვებით „ჩვენი ეკლესიის თავისუფლება და მთლიანობა წარმოადგენდა ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მიღწეულ მონაპოვარს“ (**ჯაფარიძე, B, 2013:5).**

ფუტკარაძე დაასკვნის, რომ „ლაზები /ჭანები/ ერთ-ერთი ძველი და ძლიერი ქართული თემია, რომელიც ოდითგანვე ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში. ლაზთა უმეტესობა ამჟამად ქართული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაა მოქცეული, მაგრამ მეტყველებით, ისტორიითა და კულტურით ისინი ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ“ (**ფუტკარაძე და სხვ.**).

ამგვარად, ტრაპიზონის ეთნო-რელიგიური საკითხის განხილვის და შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ხმამაღლა ვთქვათ, რომ აღნიშნული რეგიონი საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული მხარეა, რომელიც გარკვეული ისტორიული მიზეზებისდა გამო, დღეს საქართველოს საზღვრებს გარეთაა მოქცეული.

§. 3. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შუქ-ჩრდილები

როგორც ვნახეთ, ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასთან დაკავშირებით უამრავი ვერსია და მოსაზრება არსებობს, ძირითადი დასკვნა კი ისაა, რომ იმპერიის დაარსების საკითხი თამარ მეფის სახელს უკავშირდება. გარდა ამისა, განვიხილეთ ეთნო-რელიგიური საკითხი და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა აქ, ქართული და ქართველთა მონათესავე ტომები არინ. აი, ამის ფონზე საინტერესოა, რამდენად სწორი ნაბიჯი იქნა გადადგმული საქართველოს სამეფო ხელისუფლების მხრიდან.

გ. მამალაძე აღნიშნავს, რომ ეს ამბავი დავით აღმაშენებლის დროს რომ მომხდარიყო, ტრაპიზონის ოლქს პირდაპირ შემოუერთებდა საქართველოს და ასე დაასრულებდა ამ საქმეს, მაგრამ თამარ მეფის პოლიტიკა, როგორც ვიცით, სხვაგვარი იყო, თამარის სახელმწიფო უფრთხილდებოდა თავის კეთილ სახელს (**მამალაძე,**A). ისმის კითხვა ეს მხოლოდ სახელის გამო გააკეთა თუ იყო რამე სხვა მიზეზი? რატომ გაუშვა საუკეთესო მომენტი ხელიდან საქართველოს სამეფო კარმა, რომ ეს ძირძველი ქართული მიწა საქართველოს საზღვრებში მოექცია ერთხელ და სამუდამოდ? რატომ გადადგა სამეფო კარმა ეს ნაბიჯი და რამდენად მართებული იყო ეს გადაწყვეტილება?

ზ. ბატიაშვილს მოჰყავს ნ. შენგელიას შეხედულება, რომლის აზრითაც „XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფო კარი ყოველნაირად ცდილობდა თურქულ-სელჩუკური სამყაროს დასუსტებას და მის გვერდით ქრისტიანული სახელმწიფოების გაძლიერებას და დაწინაურებას“. ამიტომაც მოხდა საქართველოს ხელისუფლების მიერ 1204 წლისათვის ტრაპიზონის საკეისროს დაარსება (**ბატიაშვილი, 2012:87).**

აკად. კუნიკის აზრით, თამარი ამ ნაბიჯით ცდილობდა ძლიერი საბერძნეთის აღდგენას, რადგან მასთან ერთად, გაერთიანებული ძალებით, რუმის თურქული სასულთნო მცირე აზიაში მოესპო. მაგრამ კუნიკის ეს მოსაზრება რეალობას

სცილდება, რადგან იმ დროს საქართველო ძლიერი საბერძნეთის აღდგენას არ მოისურვებდა (**ავალიშვილი,** 1929:101).

ლ. სანიკიძე მიიჩნევს, რომ „ტრაპიზონის იმპერია გარკვეულწილად ნაწილი იყო სრულიად საქართველოს იმპერიისა, მისი „პროტექტორატი“ და ისეთივე „ყმადნაფიცი“, როგორც შირვანი, დარუბანდი, ღუნძეთი, ოვსეთი, ქაშაგეთი და კარნუ-ქალაქი“ (**სანიკიძე,** 1990:570).

ზ. ბატიაშვილის აზრით, სხვა გარემოებათა გვერდით, ტრაპიზონის იმპერიის ბიზანტიისაგან გამოყოფის საქმეში, როგორც ჩანს ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ამ ისტორიული მხარის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა იყო (**ბატიაშვილი, 2012:88).** აქვე მას მოჰყავს პავლე ინგოროყვას მოსაზრება, რომ რადგან ქართველების მიერ 1204 წელს დაკავებული ტერიტორია მოიცავდა არა მარტო ჭანეთს, არამედ ბერძნულ (ელინიზირებულ) ქვეყნებსაც, საქართველოს მთავრობას „მიზანშეწონილად დაუნახავს ამ ახალი ტერიტორიების ორგანიზება ცალკე სამეფოს სახით, საქართველოს პოლიტიკური გავლენის, პროტექტორატის ქვეშ“ (**ბატიაშვილი, 2012:92-93**)

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მოსაზრებით, საქართველოს სიძლიერისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება იქნებოდა შემოერთება ქართველ-ჭანებით დასახლებული განაპირა ჭანეთისა, ვიდრე დაპყრობა უცხო გვარ-ტომით მოსახლე არეზისა და დვინის ნაპირებისა. ეს თამარსაც ექნებოდა გათვალისწინებული, მაგრამ მან ალბათ იცოდა, რომ ამით მოიმდურებდა ერთად-ერთ მეზობელ ქრისტიან ერს – ბერძნებს და მათთან ერთად ევროპელ ჯვაროსნებსაც, რომლებიც ამ ტრაპიზონის მხრიდანაც სასტიკად აწვებოდნენ და ავიწროებდნენ წმინდა ქალაქის, პალესტინის მპყრობელ მაჰმადიანებს (**ჯანაშვილი,** 1917:61-62)

გარდა ზემოთ დასახელებული გარემოებებისა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თამარ მეფის პოლიტიკოსები, ალბათ, არ ისურვებდნენ ბერძნული სამხედრო რესურსის დაკარგვას. „იმათი, ვინც ტრაპიზონ-ლაზეთში იყო და იმათიც, ვინც კომნენებს მიემხრობოდა. ასეთები კი ბევრი იყო. თუ საქართველო შეიერთებდა ტრაპიზონს მთლიანად, ბერძნების სამხედროები, და ალბათ, ვაჭრები და ხელოსნებიც, ალბათ, არ ისურვებდნენ ქართველების ქვეშევრდომობას, შესაძლოა

წასულიყვნენ ქალდეადან ანუ ლაზეთიდან ნიკეაში, სადაც კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ გადავიდა ბიზანტიის არისტოკრატია“ (**მამალაძე,** A).

რადგან ამ ტერიტორიების დიდი ნაწილი არასოდეს შედიოდა საქართველოს საზღვრებში, შესაბამისად, ძნელი იქნებოდა მიწების პირდაპირი მიერთების ლეგიტიმაცია. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ დროინდელი კომუნიკაციების პირობებში რთული იქნებოდა, „ვთქვათ პაფლაგონიის ანდა ბითინიის მართვა, თანაც ისეთ პერიოდში, როდესაც მთელი ამ ტერიტორიების სამხრეთი გაყოლება სელჩუკების ხელში იყო და მათი თავდასხმის შემთხვევაში სწრაფი მოქმედებისთვის ადგილზე იქნებოდა საჭირო გადაწყვეტილებების მიღება“.

სწორედ ამ და სხვა მიზეზების გათვალისწინება მოუხდებოდა საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას. „სავარაუდოდ, აქედან გამომდინარე მიიღეს გადაწყვეტილება იმპერიის დაარსების შესახებ, რომელიც იქნებოდა ქართული გავლენის ქვეშ“ (**ბატიაშვილი, 2012:92-93**).

ამგვარად, საქართველოს სამეფო კარმა, ტრაპიზონის გარშემო ჩამოაყალიბა ბუფერული იმპერია, რომელიც ტფილისის მორჩილი იქნებოდა (**მამალაძე,**A). ტრაპიზონის იმპერიას, როგორც ბუფერულ ზონას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის – დასავლეთიდან ბიზანტიელთა და სამხრეთ-დასავლეთიდან რუმის თურქთა სასულთნოს შემოტევათა მოსაგერიებლად (**მუსხელიშვილი და სხვ., 341**).

როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „...საქართველოს მეზობლად ამ დროითგან მოყოლებული თვით საქართველოს წყალობითვე შექმნილი საკეისრო გაჩნდა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომით იყო დასახლებული, პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული. ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს ჰეგემონია სუფევდა“ (**მასალები..,** 1960:10). საქართველოს ცხოვრებაში ტრაპიზონის იმპერიამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული როლი შეასრულა. ალექსი კომნენოსი კი საქართველოს სამეფო კარის დასაყრდენი იყო მის საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი ბიზანტიასთან ურთიერთობასთან მიმართებაში (**მეტრეველი,** 1991:198).

ტრაპიზონის იმპერიას საზღვაო ვაჭრობისაგან საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდა, რაც ქართულ ეკონომიკაზეც დადებითად მოქმედებდა. „ქალდიის ვერცხლის საბადოები, და სავარაუდოდ სხვა შემოსავლებიც, როგორც ჩანს, ტფილისის უშუალო მფლობელობაში იყო“ (**მამალაზე,** A).

ყოველივე ზემოთ თქმული გასაგებია და, ზოგადად, ტრაპიზონის იმპერიის დაარსება საქართველოსათვის მართლაც დიდი წარმატებული ნაბიჯი იყო, ამასთან პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით ფრიად მომგებიანი და სასურველი. მაგრამ არ შეიძლება აქ არ შევეხოთ ერთ მართლაც რომ მტკივნეულ საკითხს.

მკვლევარ გ.მამალაძეს საინტერესო მოსაზრებები აქვს ტრაპიზონის იმპერიასთან დაკავშირებით. „თამარმა ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით, – წერს იგი, – შექმნა, თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენოთ, „თავისუფალი ეკონომიკური ზონა“. ტრაპიზონის იმპერიაში სახელმწიფო ენა იყო ბერძნული, ამიტომ სახელმწიფოს მცხოვრებნი, ლაზები, კულტურულად და შეგნებით, დედა-სამშობლოს კიდევ უფრო შორდებოდნენ. „მათი ელინიზება-გაბერძნება გრძელდებოდა. ტრაპიზონი პირდაპირ რომ შემოეერთებინათ, სახელმწიფო ენა იქნებოდა ქართული. მეტად გავრცელდებოდა ქართული სალიტერატურო ენა და კულტურა, რაც მთავარია – ქართული თვითშეგნება“. მართალია, ამ ეტაპისთვის რიზესა, ტრაპიზონის და სხვა ქალაქების ეპისკოპოსები ემორჩილებოდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს, მაგრამ ქართული ეკლესიებიც შემდგომში უფრო მეტად გაიხსნებოდა, რაც ქართული ენის გავრცელებას შეუწყობდა ხელს – „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღრაცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“... (**მამალაზე,** A). უნდა აღვნიშნოთ, რომ ვეთანხმებით მოყვანილ ავტორს და აბსოლუტურად ვიზიარებთ მის მოსაზრებას.

ჩვენთვის, ასევე, აბსოლუტურად მისაღებია აღნიშნული ავტორის ტრაპიზონის იმპერიასთან დაკავშირებით გამოთქმული სხვა მოსაზრებებიც. იგი ღრმად წვდება მოვლენებს და კარგად არგუმენტირებულ დასკვნებს აკეთებს.

ტრაპიზონ-ლაზეთის შემოერთებით, – მსჯელობს გ.მამალაძე, – საქართველოს შესაძლოა ჩამოეყალიბებინა საკუთარი ფლოტი და საქართველო გახდებოდა

საზღვაო სახელმწიფო. რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. საერთოდ საკვირველია, თუ რატომ არ შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა ფლოტი. საქართველო რომ არ დაცემულიყო, ტრაპიზონის საკეისრო კიდე უფრო მეტად დაუახლოვდებოდა საქართველოს და შესაძლებელი იქნებოდა, მთლიანად ინკორპორირებულიყო დედა სამშობლოში, მაგრამ, თამარის შემდეგ, ქართული სახელმწიფოს დაშლამ „გამოიწვია ტრაპიზონის სამეფოსა და ქალდეა-ლაზეთ-ტრაპიზონის ქართული მოსახლეობის კიდევ უფრო ელინიზება და დაშორება საქართველოსგან“. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრაპიზონის იმპერიის შექმნა, და ამ ტერიტორიების, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში არ შემოყვანა, დღევანდელი გადასახედიდან, საბოლოოდ ჯამში შეცდომა აღმოჩნდა. ქართველებმა ხელიდან გაუშვეს ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჩამოყალიბების ერთადერთი შესაძლებლობა და შავ ზღვაზე საზღვაო მიმოსვლის რესურსები, როგორც ტექნიკური, ისე ადამიანური. ქართველმა პოლიტიკოსებმა, ბერძნულ-ბიზანტიური რესურსის გამოყენების მიზნით, „დაკარგეს ლაზური რესურსი, რომელიც ძალიან სჭირდებოდა და სჭირდება ჩვენს სამშობლოს. სჯობდა დაცლილიყო ლაზეთი ბერძნული რესურსისგან“. დღეს ლაზების ერთი ნაწილი საქართველოში ცხოვრობს და თავს ქართველად მიიჩნევს, მაგრამ თურქეთში მცხოვრები ლაზების დიდი ნაწილი არაქართველად თვლის თავს, მაგრამ მონათესაობას მაინც აღიარებს. ეს არ მოხდებოდა თამარ მეფეს ტრაპიზონ-ლაზეთი პირდაპირ რომ შემოეერთებინა (**მამალაზე,**A).

ასეთი ვრცელი ამონაწერი გ.მამალაძის ნაშრომიდან იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა ის უარყოფითი მხარეები, რაც ტრაპიზონის იმპერიის ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას გააჩნდა საერთო-ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. ავტორი ჩვენს სათქმელსაც ამბობს თავისი მოსაზრებებით.

ხაზს უსვამს რა ტრაპიზონის მიწების უშუალოდ საქართველოში გაერთიანების იდეის უპირატესობას, მკვლევარი ასკვნის, რომ „თუმცა, მაშინ, ალბათ, ეს იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ შესაძლოა, ამდენი ქართული სახელმწიფოებრივი რესურსი არ

ჰქონდა ჩვენს ქვეყანას“-ო. თუმცა, იქვე სვამს მნიშვნელოვან კითხვასაც: „ან იქნებ, ყველაფერი მაინც იდეოლოგიური შეცდომიდან მომდინარეობს“-ო? (**მამალაზე,A**).

ცალკე სახელმწიფოდ გაფორმებულ ტრაპიზონის იმპერიაში ბერძნულ-ბიზანტიური აზროვნება კვლავ ცდილობდა დაეჩრდილა ზოგად-ქართული ცნობიერება და ბოლომდე მიეყვანა ელინიზაციის პროცესი. თუმცა, საქართველოს ძლიერების პერიოდში და შემდგომ ხანებშიც დიდხანს, ეს ტენდენცია ან არ შეიმჩნეოდა, ან სუსტი იყო. მკვლევარი ზ.ბატიაშვილი მიუთითებს, რომ ტრაპიზონის იმპერიის სამეფო კარზე, არსებობის ორნახევარი საუკუნის მანძილზე, „პირველობისათვის ერთმანეთს ებრძოდა ორი პოლიტიკური ორიენტაცია და კულტურული ტენდენცია – ქართული და ბიზანტიური“. ეს ბრძოლა, იმპერიის არსებობის პირველ ეტაპზე, ქართველთა უპირატესობით ხასიათდებოდა. თ. უსპენსკი შენიშნავს, რომ „პირველ მეფეთა და მათი მმართველობის ხასიათი, იმპერიის მთელი ნახევარი პერიოდის მანძილზე, კონსტანტინოპოლში გაბატონებული ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებებისგან განსხვავდებოდა“.

ზოგადად, როგორც ქართულ, ისე საზღვარგარეთულ ისტორიოგრაფიაში, თამარის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება დადებით ნაბიჯად არის აღიარებული. მაგ., ზ.ბატიაშვილს თავის ნაშრომში მოჰყავს გამოჩენილი ნუმიზმატოლოგის ბართლომეის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „თამარ მეფის მიერ შავი ზღვის ნაპირზე ახალი საქრისტიანო სახელმწიფოს დაარსება იმ დროს, როცა ფრანკებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს, ამ დედოფლის პოლიტიკურ სიბრძნეზე მოწმობს. ტრაპიზონის სამეფომ 250 წელიწადზე მეტი იცოცხლა და უამისოდ საქართველო, იმ განუწყვეტელი უბედურებით აღნიშნულ ხანებში, უეჭველად დაიღუპებოდა“-ო (**ბატიაშვილი, 2012:94-95**). ზ.ბატიაშვილი თავადაც იზიარებს ამ აზრს. „ეს რომ მართლაც ასეა, დასტურდება ტრაპიზონის დაცემის (1461) შენდეგ განვითარებული მოვლენების ანალიზით“ – ასკვნის იგი (**ბატიაშვილი, 2012:95**).

დიახ, ტრაპიზონის იმპერიის ტერიტორიაზე საქართველოს გავლენის გავრცელება მართლაც დიდი წარმატება და გამარჯვება იყო და ამას ჩვენც ვაღიარებთ.

და მაინც, იქნებ შეცდომა იყო იმპერიის დაარსება?

იქნებ უმჯობესი იყო ლაზ-ჭანების მიწა-წყალი სხვა ქართულ კუთხეებთან ერთად ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში მოექციათ?

ჩვენ, პირადად, ამ ბოლო მოსაზრებისაკენ ვიხრებით.

დასკვნები

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველო იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო როგორც პოლიტიკური და სამხედრო, ისე ეკონომიკური თუ კულტურული მდგომარეობის თვალსაზრისით. იგი, ფაქტობრივად, რეგიონში წამყვან ძალად იყო ქცეული და აქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს საკუთარი შეხედულების მიხედვით არეგულირებდა.

ამავე ხანებში ახლო აღმოსავლეთში გრძელდებოდა იერუსალიმის გამოხსნის მიზნით წარმოებული ჯვაროსნული ომები, რაც, რეალურად, უფრო პაპის გავლენის გაძლიერებასა და რაინდთა გამდიდრებას ემსახურებოდა, ხოლო საქართველოს მეზობლად მდებარე ძველი მტერ-მოყვარე ბიზანტიის იმპერია პოლიტიკური და სამხედრო სისუსტის ფაზაში იყო შესული, თუმცა მატერიალური თვალსაზრისით ჯერ კიდევ დიდი სიმდიდრე გააჩნდა.

ასეთ სიტუაციაში, ბერძენ-ლათინთა გამწვავებული დაპირისპირების ფონზე,

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, იერუსალიმისკენ მიმავალი ჯვაროსანთა ლაშქარი, ვენეციელების მხრიდან წაქეზების შემდეგ, კონსტანტინოპოლში აღმოჩნდა. 1204 წლის 12 (თუ 13) აპრილს ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს. ბიზანტიისათვის ეს, რა თქმა უნდა, გამანადგურებელი დარტყმა იყო. სერ სტივენ რუნსიმენტმა „კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ბოროტება“ უწოდა ამ ფაქტს. ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი ნანგრევებად აქციეს. „ქრისტეს სახელით მისულებმა ქალაქი გადაწვეს, გაძარცვეს და ნაალაფევი ვენეციასა და პარიზში, ტურინსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში გაზიდეს“.

კონსტანტინოპოლში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, ბიზანტიის იმპერიაზე, თამარ მეფის ბრძანებით, იერიში მიიტანა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, რასაც წინ უძღოდა თამარისაგან საბოძვარით აღვსილი ქართველი ბერების გაძარცვა იმპერატორ ალექსი ანგელოსის მიერ. ფაქტობრივად, ეს იყო სადამსჯელო ექსპედიცია.

თამარ მეფის ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით, როცა თამარმა გაიგო მონაზონთა გაძარცვის ამბავი, „ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ და ამით უმეტეს არცხვნა ეშმაკი; ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლიხთიქითნი; და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი; და მისცა ნათესავსა თჳსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თჳთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი“. ქალაქ ტრაპიზონში 23 აპრილს შევიდნენ. ფაქტობრივად, თამარის ჯარმა ძირითადად ლაზ-ჭანებით დასახლებული ძველი ქართული მიწები დაიკავა, რომელთა დიდ ნაწილზე ძველად მცხეთის საეკლესიო იურისდიქცია ვრცელდებოდა.

როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარზე დიდი ხანია მწიფდებოდა აზრი ლაზეთ-ჭანეთის დაკავებასთან დაკავშირებით. ამავე პერიოდში საქართველოში იმყოფებოდნენ ბერძენთა მიერ გადაყენებული საიმპერატორო სახლის კომნენოსთა წარმომადგენლები, რომლებიც ვერ იტანდნენ ანგელოსებს. ასე რომ თამარ მეფემ ბერების გაძარცვა საბაბად, ხოლო კომნენოსთა შურისძიება იარაღად გონივრულად გამოიყენა თავისი გეგმის განსახორციელებლად

დაკავებულ ტერიტორიაზე თამარ მეფემ ტრაპიზონის ვასალური სახელმწიფო დაარსა, რომელსაც სათავეში ალექსი I კომნენოსი ჩაუყენა. კომნენოსები ბაგრატიონებს ენათესავებოდნენ. გავრცელებულია ნათესაობის სხვადასხვა ვერსია. ერთერთი ვერსიის თანახმად, ალექსი და მისი ძმა დავითი თამარის დის, რუსუდანის შვილები იყვნენ, რაც ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად დასაბუთებული.

ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ჯერ ერთი, საქართველოს გარეთ, მეცნიერთა ერთი ნაწილი ცდილობს ტრაპიზონის სახელმწიფოს შექმნაში დააკნინოს ქართველთა როლი, მაგრამ არსებული დოკუმენტები უცილობელს ხდიან, რომ აღნიშნული პოლიტიკური აქტი უშუალოდ თამარ მეფის ნებითა და მეთაურობით განხორციელდა. და მეორე, ქართველ მეცნიერებში არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, რომ ტრაპიზონის

იმპერიის შექმნა იმ ფორმით სჯობდა, რა ფორმითაც განხორციელდა, თუ უმჯობესი იყო ამ მიწების უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შემოყვანა.

მართალია, ალექსი კომნენოსი თამარის ქვეშევრდომი და ვასალი იყო, რაც ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, ალექსი, ფაქტობრივად, ერთიანი ქართული სივრცის ერთ-ერთი ნაწილის მეფე იყო და ისტორიკოსებიც ბევრ გამამართლებელ არგუმენტს უძებნიან ტრაპიზონის იმპერიის ცალკე პოლიტიკურ ერთეულად დაარსების ფაქტს, მაგრამ ჩვენ ვიხრებით იმ აზრისაკენ, რომ სჯობდა დაკავებული ტერიტორიები პირდაპირ საქართველოს ფარგლებში გაერთიანებულიყო. ასეთ შემთხვევაში აღარ გაგრძელდებოდა ლაზ-ჭანების შემდგომი ელინიზაციის, ანუ ქართული ცნობიერებისაგან თანდათანობითი დაშორების პროცესი და დღეს ლაზების დიდი ნაწილი ასე ადვილად აღარ მოექცეოდა ანტიქართული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ.

ამდენად, მართალია ტრაპიზონის იმპერიის დაარსება ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში, ხოლო საკუთრივ ეს ფაქტი ქართული პოლიტიკისა და სტრატეგიის დიდი წარმატება, რასაც უდავოდ სერიოზული სარგებლობა მოჰქონდა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, მაგრამ ქართული ეროვნული და საეკლესიო ინტერესებიდან გამომდინარე, ბევრად უკეთესი იქნებოდა ლაზ-ჭანებით დასახლებული მიწები უშუალოდ შესულიყო საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში. ეს იქნებოდა საუკეთესო საფუძველი ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების ფორმირების საქმეში.

ტრაპიზონის იმპერია XIII საუკუნეში
- - - კომნინოსების მიწები 1204-14 წლებში
ევროპის ანუ რუმეთის სასულტანო
ანზრუმეთის სამეფო
სინოპე
ამისო (სამსუნი)
ფანაგორია–ლიმანი–თერმე
ოინე (უნიე)
ზარუმეთია
იასონის კონცხი
ჩამის კონცხი
კოტიორა (ორდუ)
ფარნაკეა - III კერასუნტი - გირესუნი
ზეფირია (კაიკ ლიმანი)
ტრიპოლისი
ფენერის კონცხი
კორდილე (აკჩაკალე)
ტრაპიზონი
სურმენე
ოფი –სოტიროპოლი
რიზე
კორდულა (ჩაიელი)
ათინა (ფაზარი)
არტაშენი
ვიწე
არქაბი
ხუფათი
ბათომი
ბანზარეთი
ქართველ ტომთა ადგილსამყოფელი
ზიგანა
ჯანიცა
(ბეიბურტ ჰანე)
ოსტროპი
ბაიბურთი
ოლური
ბაბა
ჩუბუნის კარი
სპერი

გამოყენებული ლიტერატურის სია

ავალიშვილი, 1929: – ავალიშვილი ზ., „ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი)“, გამომცემლობა „საქართველო-“ს სტამბა, პარიზი,1829.

ანჩაბაძე, 1979: – ანჩაბაძე ზ., „საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III, (ჩამოყალიბებული ფეოდალიზმის ხანა საქართველო XI – XV სს)“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979

ასათიანი, 2006: – ასთიანი ზ., „ბიზანტიური ცივილიზაცია“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, თბილისი, პროგრამა ლოგოსი, 2006

ბატიაშვილი, 2012: – ბატიაშვილი ზ., „ტრაპიზონის იმპერიის დაარსება“, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2012.

ბიზანტიის იმპერია: – „ბიზანტიის იმპერია (ანგელოსების დინასტიის ხანა (1185-1204 წწ))“, ინტერნეტ - მისამართი: https://ka.wikipedia.org/wiki/ბიზანტიის_იმპერია

ბიზანტიის იმპერია: – „ბიზანტიის იმპერია (ბიზანტიური კულტურა და განათლება)“, ინტერნეტ - მისამართი: https://ka.wikipedia.org/wiki/ ბიზანტიის იმპერია

ბონოკლი: — ბონოკლი მარკ, „ძარცვა კონსტანტინოპოლისა 1204 წელს, რა მოხდა?“, ინტერნეტ-მისამართი: https://forum.ge/?f=84&showtopic=34097214

გოზალიშვილი, 1965: – გოზალისვილი გ., „მითრიდატე პონტოელი (მეორე გამოცემა)“, გამომცემლობა „საბწოტა საქართველო“, თბილისი, 1965.

დილი, 1998: – დილი შარლ, „ბიზანტიის იმპერიის ისტორია“, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, გამომცემლობა «ნეკერი», თბილისი, 1998.

დილი: – დილი შარლ, „ბიზანტია 1081-1453 წლებში (კომნინების მმართველობა და ბიზანტიური კულტურა მეთორმეტე საუკუნეში)“. – უჩა მურღულიას ბლოგი. ინტერნეტ მისამართი: http://umurgulia82.blogspot.com/2018/05/1081-1453.html

ვახუშტი, 1941: – ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1941.

თურმანიძე, 2016: — თურმანიძე მანანა, „ჯვაროსნული ომები და დღევანდელობა“, ინტერნეტ-მისამართი: http://www.tabula.ge/ge/tablog/106023-jvarosnuli-omebi-da-dghevandeloba

იანუსი (ლელა კაკაშვილის ბლოგი): – იანუსი (ლელა კაკაშვილის ბლოგი), „ჯვაროსნები (მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა)“, ინტერნეტ-მისამართი: http://www.ianusi.com/2018/03/blog-post_88.html

ინგოროყვა, 2003: – ინგოროყვა პავლე, “ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო”, თბილისი, 2003.

კაკაბაძე, 1912: – კაკაბაძე ს., „თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქ.ისტორიაში“, ელექტრო მბეჭდავი სტამბა ა. მ. კერესელიძისა, გრიბოედოვის ქუჩა N34, თბილისი, 1912.

ლაზეთის ისტორია: – „ლაზეთის ისტორია (მცირე ისტორიული ექსკური)“, ინტერნეტ - მისამართი: https://burusi.wordpress.com/2009/06/28/%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-

მამალაძე, A: – მამალაძე გაიოზი, „იყო თუ არა შეცდომა ტრაპიზონის იმპერიის დაარსება“, ინტერნეტ-მისამართი: http://www.georoyal.ge/?MTID=101&TID=78&id=3263

მამალაძე B: – მამალაძე გაიოზი, „ტრაპიზონი და ლაზეთი-საქართველოს ისტორიისა და კულტურის ნაწილი“, ინტერნეტ-მისამართი: https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=64&id=1060

მამალაძე: – მამალაძე გია, „ალექსი I დიდი კომნენოსი - ტრაპიზონის პირველი იმპერატორი – ლაზთა მეფე“, ინტერნეტ-მისამართი: http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=64&id=2457

მამისთვალიშვილი, 2014: – მამისთვალიშვილი ელდარ, „ბასილი ეზოსმოძღვარი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ“, ქართული წყაროთმცოდნეობა, XV-XVI, თბილისი, 2014.

მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა: — „მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა“, ინტერნეტ-მისამართი: https://ka.wikipedia.org/wiki/მეორე_ჯვაროსნული_ლაშქრობა

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრომა: – „მეოთხე ჯვაროშნული ლაშქრობა“, ინტერნეტ-მისამართი: https://ka.wikipedia.org/wiki/მეოთხე_ჯვაროსნული_ლაშქრობა

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა: – „მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა“, ინტერნეტ-მისამართი:
http://ucnauri.com/181007/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%

მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა: – „მესამე ჯვაროსნული ლაშქრობა“, ინტერნეტ-მისამართი: https://ka.wikipedia.org/wiki/მესამე_ჯვაროსნული_ლაშქრობა.

მეტრეველი, 1972: – მეტრეველი რ., „ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972.

მეტრეველი, 1991: — მეტრეველი რ., „მეფე თამარი (ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა)“, გამომცემლობა „განათლება“ , თბილისი, 1991.

მეტრეველი, 2007: – მეტრეველი რ., „საქართველოს მეფეები“, გამომცემლობა „ნეკერი“, 2007.

მუსხელიშვილი და სხვ., 2012: – მუსხელიშვილი დ., ჯაფარიძე ო., მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე მ., მეტრეველი რ., სამსონაძე მ., ასათიანი ნ., ჯამბურია გ., ოთხმეზური გ., ნათმელაძე მ., ბენდიანიშვილი ალ., დაუშვილი ალ., „საქართველოს ისტორია (ტომი 2 – საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე)“, თბილისი, 2012.

ნაცვალაძე, 2017: – ნაცვალაძე მ., „ამბავი ქართველთა კარნახით შექმნილი ტრაპიზონის ბუფერული იმპერიისა“, ინტერნეტ-მისამართი:
http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=5&id_artc=34024

ნიკოლეიშვილი, 2016: - ნიკოლეიშვილი ავთანდილი, „ლაზეთი (ისტორიულ - ლიტერატურული წიაღსვლები)“, გამომცეწმლობა „საქართველოს მაცნე“, 2016.

პანარეტოსი, 1960: – პანარეტოსი მიქელ, „ტრაპიზონის ქრონიკა“, კრ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა: – „პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა“, ინტერნეტ-მისამართი: https://ka.wikipedia.org/wiki/პირველი_ჯვაროსნული_ლაშქრობა#შედეგები

ტრაპიზონი ..,: – „ტრაპიზონი - იმპერია დედით ქართველთა (1204-1461)“, ინტერნეტ-მისამართი: http://tao-klarjeti.com/portal/2013-04-23-12-58-26/ტრაპიზონი

ურიადმყოფელი, 2006: – ურიადმყოფელი შალვა, „მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა“, ინტერნეტ-მისამართი: http://church.ge/index.php?showtopic=1985

სანიკიძე, 2012: – სანიკიძე გ., „ისტორია მე-8 კლასი (მოსწავლის წიგნი)“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012.

სანიკიძე, 1990: – სანიკიძე ლ., „უქარქაშო ხმლები“, I, თბილისი, 1990.

სარფი, 2015: – „სარფი“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2015.

ფუტკარაძე და სხვ.: – ფუტკარაძე ტ., თანდილავა ი., ლაბაძე მ., „ლაზეთის მკვიდრ ქართველთა (ლაზთა) ენობრივ-ეთნიკური იდენტობის საკითხები“, – უჩა მურღულიას ბლოგი; ინტერნეტ-მისამართი: http://umurgulia82.blogspot.com/2018/05/blog-post.html

ქართლის ცხოვრება, 2012: – „ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 2012.

ჭანების (ლაზების) ისტორია: – „ჭანების (ლაზების) ისტორია“, უჩა მურღულიას ბლოგი; ინტერნეტ-მისამართი: http://umurgulia82.blogspot.com/2017/02/blog-post_12.html

ჭელიძე,1984: – ჭელიძე ვ., „ქართლის ცხოვრების ქრონიკები (III,IV)“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984

ჯავახიშვილი..,1943: – ჯავახიშვილი ივ., ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს., „საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნეების დამდეგამდე)“, საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1943.

ჯავახიშვილი, 1983: – ჯავახიშვილი ივ. „თხზულებანი თორმეტ ტომად (ტომი II)“, გამომცემლობა „ მეცნიერება“, თბილისი, 1983.

ჯავახიშვილი, 1983: – ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბილისი, 1983.

ჯანაშვილი, 1917: – ჯანაშვილი მ.გ., „თამარ მეფე“, გამოცემა ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა, მსწრაფლ - მბეჭდავი სტამბა ვ. ა. რუხაძისა, გაბაევის შესახ. N 1, ტფილისი, 1917.

ჯაფარიძე, A, 2013: – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „ქალდეა (საეპისკოპოსოები ლაზიკაში)“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი რეალური ისტორიის დამდგენი საქართველოს საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისია, თბილისი, 2013.

ჯაფარიძე, B, 2013: – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „ივანე ჯავახიშვილი და უწმინდესი პატრიარქი ილია II საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შესახებ“, საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი საქართველოს საპატრიარქოს მუდმივმოქმედი კომისია, თბილისი, 2013.

ჯვაროსნები: – „ჯვაროსნები“, ინტერნეტ-მისამართი: https://ka.wikipedia.org/wiki/ჯვაროსნები

ჯვაროსნული ომები: – „ჯვაროსნული ომები“, ინტერნეტ-მისამართი: http://zogadi-istoria.blogspot.com/2013/12/blog-post_13.html

ჯვაროსნული ლაშქრობები: – „ჯვაროსნული ლაშქრობები“, ინტერნეტ-მისამართი: https://ka.wikipedia.org/wiki/ჯვაროსნული_ლაშქრობები

https://ka.wikipedia.org/wiki/ტრაპიზონის_იმპერია

https://ka.wikipedia.org/wiki/ალექსი_I_(ტრაპიზონი)

https://ka.wikipedia.org/wiki/ლიმნია

https://ka.wikipedia.org/wiki/პონტოს_სამეფო

https://ka.wikipedia.org/wiki/ ბიზანტიის_იმპერია

https://ka.wikipedia.org/wiki/ბიზანტიის_იმპერია#კომნენოსთა_დინასტიის_ხანა_(1081-1185_წწ)

https://ka.wikipedia.org/wiki/ანგელოსები

https://ka.wikipedia.org/wiki/ბიზანტიის_იმპერია#ბიზანტიური_კულტურა_და_განათლება

https://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/102001725#h=3 - დაცემის გზაზე.